საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდ-ვეული სიფფეკვაა, ფეფილებით და ჭიჩებით ბეფ-თის გაფანა ყველა ეკვალა ეკადრისობაზე ეესაძაგლესია.

ოთხშაბათი, 27 მარტი. 2019 წ. №60 (8726) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

„ოცნებავ“, დამღუპველად გვიანი იქნება თითზე კბენანი!.. ქვეყანა პოლიტიკურ გზაჯვარედინზეა!

გაერთიანებულ ოპოზიციად შენიღბული ნაციონალები (რომლებიც აშკარად ისევ ქვეყნის მტრებად იქცნენ!) უკვე აღარ მალავენ თავიანთ ძალაუფლების კვლავ ხელში ჩაგდების სულსწრაფობას და თავიანთივე ნაყაჩაღარი პოლიტიკური ბუკ-ნაღარით – „ცრუსთავი-2“-ის ეკრანიდან მთელი 24 საათი არა მარტო ყველანაირ ცილისმწამებლურ ლაფში სვრიან ისედაც „დემოკრატიულად“ მოთენთილ თუ საბოლოოდ არაერთი დანაშაულისთვის დღემდე თუნდაც პოლიტიკურ განაჩენგამოუტანელ ნაციონალთა ხროვის თმენის რეჟიმში გადასულ „ოცნებას“ და ვადამდელი არჩევნები თუ არ გამოუვიდათ, 2020 წლის არჩევნები ხომ წინ არის!

მაგრამ, როგორც კოჭებში ეტყობათ, საარჩევნო რევოლუციას აღარ დაუცდიან (ის კი არა, ეკრანიდან უკვე დედას იგინებიან თავიანთ პოლიტიკურ მეტოქეთა წინააღმდეგ და წამდაუწუმ უწმაწურობენ!), ერთგვარად დაბნეული საზოგადოებისთვის თავის მოწონების მიზნით ძველი უმძიმესი ცოდვების ცრუ მონანიებასაც არ ერიდებიან და ასევე ცრუ ახალი დაპირებების კორიანტელს აყენებენ (მაგრამ, იმედია, ხალხი აღარ „ჭამს“). და ნამდვილად ძალზე დასანანია, რომ გაერთიანებულ ოპოზიციად ნიღაბაფარებულ ნაციონალთა ამჟამინდელ ყოველივე ანტისახელმწიფოებრივ ფართხალს „ოცნების“ მხრიდან ჯეროვანი წინააღმდეგობა არ ხვდება (ის კი არა, საცოდაობაა, რაც ამჯერად „ოცნების“ შიგნით ხდება იდეოლოგიურად საეჭვო ოცნებელთა მხრიდან!).

ასე რომ, ქვეყანა ისევ პოლიტიკურ გზაჯვარედინზეა!

ეგრეთ წოდებული ვითომ გაერთიანებული ოპოზიციის (წაიკითხეთ ნაციონალების!) ტაქტიკაც ცნობილია და სტრატეგიაც (აკი თავადვე გააქვეყნეს!).

ახლა აშკარად ის დროა, როცა „ოცნებამ“ თვალსაფრები მოიხსნას და (ნუ ეწყინებათ) ყურებიც გამოიბერტყოს!

მერე უკვე დამღუპველად გვიანი იქნება თითზე კბენანი!

ბილწთა ზავი

თეიმურაზ ხევისთავისთვის ჯაყო ისეთივე აუცილებლობაა, როგორც ჯაყოსთვის თეიმურაზ ხევისთავი. ჯაყოების ასპარეზი მხოლოდ თეიმურაზ ხევისთავების გარემოშია.

ყველა პოლიტიკურ სცენარში მთავარი მაინც ხალხის განწყობა, ხალხის ნდობაა „სცენარისტების“, „რეჟისორების“ და „მთავარი როლების შემსრულებელთა“ მიმართ. წარმატებაც და წარუმატებლობაც მხოლოდ ამაზეა დამოკიდებული.

მამუკა ხაზარაძის პოლიტიკური მიზნების შესახებ საზოგადოების გარკვეულ, არცთუ მცირე ნაწილს ჰქონოდა ეჭვი, ვარაუდი და შესაძლოა – ინფორმაციაც, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის განდგომის პროცესი ღვივდებოდა. კვირიკაშვილი, მარგველაშვილი, ხაზარაძე, მამა-შვილი წერეთლები თავის „ტვ-პირველით“, პარლამენტართა ერთი ჯგუფი და მწერლობისა და ხელოვნების სფეროს რამდენიმე წარმომადგენელი, ერთი ჯაჭვის რგოლები რომ იყვნენ, პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანისთვის შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა.

კვირიკაშვილმა „ააგდო“ ხაზარაძე, თუ ხაზარაძემ კვირიკაშვილი, ძნელი სათქმელია და კაცმა რომ თქვას, არც არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ ე.წ. კავშირის შეკვრას ქვეყნის ინტერესი და ქვეყნის პრობლემების გადაჭრაზე ზრუნვა არ განაპირობებდა, რადგან პოლიტიკური თამაშების წესებში ვერანაირად ვერ ჯდებოდა. ჩემი ღრმა რწმენით, **აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა მიზანი განსაზღვრავს მიზეზს, ხოლო მიზეზი – მიზანს. უფრო კონკრეტულად – ფული ძალაუფლებაა, ძალაუფლება კი ფული.**

ბიძინა ივანიშვილის პირადი დამსახურებით, შარშან გაზაფხულზე „შეთქმულება“ ჩავარდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საფრთხე ბოლომდე ჯერ კიდევ არ იყო მოხსნილი. **„შეთქმულთა“ ჯგუფმა, ხელისუფლების დასუსტების მიზნით, სცადა თავის გეგმაში ჩაერთო „ნაცმოძრაობის“ ფაქტორი.** მაგალითად ისიც კმარა, რომ მამა-შვილი წერეთლების კუთვნილ **„ტვ-პირველს“ ძალა და ენერგია არ დაუზოგავს „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატისთვის პრობლემების შესაქმნელად და მისი კონკურენტისთვის პოზიციების გასაძლიერებლად.**

მოხდა ისე, რომ ხაზარაძესა და წერეთლებს წლების წინ თავისივე ნაჭამმა ტყემალმა მოსჭრათ კბილი. „ტვ-პირველი“ კვლავაც თავგანწირვით, ისტერიულად ცდილობს, იერიშები მიიტანოს ხელისუფლებაზე, მაგრამ ეს უკვე ძალადაკარგული იერიშებია. **ხაზარაძეების, წერეთლებისა და სხვა მათ მსგავსთა პრობლემა ისაა, რომ საზოგადოების მხარდაჭერას ვერ იღებენ** და ვერც ვერასდროს მიიღებენ, რადგან ხალხის ცხოვრებით არასდროს უცხოვრიათ, რადგან მათი სიკეთეები არავის ახსოვს.

„ხაზარაძისა და სხვათა“ კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ „წყლის მიმწოდებლად“, **მხოლოდ,** ჩემ მიერ „ბილწთა ზავად“ შერაცხილი დაჯგუფების წარმომადგენლები შერჩათ. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ **კამპანიამ – „ხაზარაძეს ჩაგრავენ“ და „ანაკლია იძირება“ – კრახი განიცადა.**

იხ. 3 გვ.

5 რა აფორიაქებს ზუგდიდს?!

4 ყველაზე უცნაური, რაც მახსენდება, ეს იყო კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის გაერთიანება, რომლებიც მანამდე დაუძინებელი მტრები იყვნენ...

11 კახა კალაძე: სამშენებლო სამუშაოები კანონიერია... დედაქალაქის წინსვლა არ სურთ!

8 ტერორიზმთან ბრძოლა ყველას საქმეა!

11 აია სოფიას მეჩეთად შესაძლო გადაკეთებამ საბერძნეთი აღაშფოთა

განათლებისა და წინსვლის ეროვნული იდეა



მამუკა ბახტაძე: წყლის რესურსების ეფექტური მართვა არის ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა, რომ საქართველო იყოს ეკონომიკურად წარმატებული ქვეყანა

ჩემი მთავრობის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი გახლავთ მწვანე ეკონომიკა, ზოგადად — მწვანე პოლიტიკა და ვფიქრობ, სწორედ მწვანე ეკონომიკა, სადაც წყლის რესურსების ეფექტურ მართვას წამყვანი როლი ექნება, არის ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა, რომ საქართველო იყოს ეკონომიკურად წარმატებული ქვეყანა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარზე „წყალმომარაგებისა და წყალარინების ევროპული ინოვაციური ტექნოლოგიები სამხრეთ კავკასიაში“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომელსაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მასპინძლობს.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველო წყლის რესურსებით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა, თუმცა ამის მიუხედავად, არსებობს სერიოზული გამოწვევები წყლის ხარისხთან დაკავშირებით. შესაბამისად, პრემიერის შეფასებით, მსგავსი კონფერენციები, ახალი ტექნოლოგიების გაცნობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა საქართველომ გამოწვევებს ადეკვატურად უპასუხოს.

„ჩვენს ეკონომიკურ პოლიტიკას ორი პრიორიტეტი აქვს. პირველი ყველაზე დიდი სიმდიდრე რაც გვაქვს, არის ჩვენი საზოგადოება და მეორე — ჩვენი ბუნება. პირველ საკითხზე ჩვენ რამდენიმე კვირის წინ უმნიშვნელოვანესი ინიციატივა დაგვაანონსეთ, რომელიც ჩემი შეფასებით არის ეროვნული იდეა. ჩვენ, როგორც სახელმწიფომ, ჩვენი ეკონომიკის 6%, ანუ ბიუჯეტის 25% ყოველწლიურად უნდა დავხარჯოთ სწორედ განათლებაზე და ადამიანურ კაპიტალზე. მეორე სიმდიდრე არის ჩვენი ბუნება, სადაც წყლის რესურსებს აქვს გამორჩეული როლი. სწორედ ამ ორი პრიორიტეტის განვითარებით, დარწმუნებული ვარ, საქართველო ჩადგება განვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყანათა რიგში და დაძლევს ყველა გამოწვევას“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

დღესვე პრემიერ-მინისტრმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟიული შარტავას სახელობის ინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო-საექსპერტო ლაბორატორია გახსნა. ლაბორატორიაში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, გაიღრმავონ თეორიულად მიღებული ცოდნა პრაქტიკული ექსპერიმენტებით და აწარმოონ საინჟინრო საქმიანობა. ლაბორატორიაში გამოყენებულია, როგორც სასწავლო დანიშნულების, ასევე საინჟინრო ობიექტებზე რეალურ ტექნოლოგიურ პროცესებში გამოყენებული აღჭურვილობა, რაც სტუდენტებს კიდევ უფრო აახლოებს რეალურ სამუშაო გარემოსთან.

ლაბორატორიის შესაძლებლობებზე დეტალური ინფორმაცია პრემიერ-მინისტრს სტუ-ს რექტორმა არჩილ ფრანგიშვილმა და უნივერსიტეტის პროფესორებმა მიაწოდეს.

გიორგი ქობულია: მუდამ მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ ისეთ პროექტებს, რომლებიც...

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა მონაწილეობა მიიღო თბილისში, „აქსის თაუერსის“ სავაჭრო სივრცის გახსნის ღონისძიებაში, სადაც ჰიპერმარკეტი „აგროჰაბი“, 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო „პულმანი“, ბიზნესცენტრი, გასართობი, საცხოვრებელი საგამოფენო და რეკრეაციული სივრცეები ამოქმედდება. როგორც გიორგი ქობულიამ მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, პროექტი სრულად შეესაბამება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებს.

„მივესალმები ამ პროექტს, რომელიც, პრაქტიკულად, სრულ თანხვედრაშია მთლიანად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებთან, მათ შორის არის ტურიზმი და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქ იქნება „პულმანის“ სასტუმრო და შეიქმნება ახალი ატრაქციები როგორც ჩვენი მოქალაქეებისთვის, ასევე ტურისტებისთვის. როგორც ვიცით, აქ იქნება შესანიშნავი გასართობი ცენტრი, საერთო საზოგადოებრივი სივრცე და ისეთი ჰიპერმარკეტი, როგორიც „აგროჰაბია“. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ხელს უწყობს არამარტო თბილისის იერსახის და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, არამედ ეხმარება მთლიანად ჩვენს ეკონომიკას. ასეთი პროექტები გვჭირდება ბევრად მეტი და მუდამ მზად ვართ, გვერდით დავუდგეთ იმ ადამიანებს, რომლებიც ასეთი პროექტების ინიციატორები და ორგანიზატორები იქნებიან მომავალში“ — განაცხადა გიორგი ქობულიამ.

„აქსის თაუერსი“ თანაინვესტირების ფონდთან თანამონაწილეობით აშენდა და მისი მთლიანი ინვესტიცია 92 მლნ დოლარს შეადგენს.

რა შემთხვევაში იქნება დასაშვები სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები?!

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის სოფიო კილაძის განცხადებით, სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები მხოლოდ მშობლის თანხმობით იქნება დასაშვები.

როგორც კილაძემ კომიტეტის სხდომაზე „ბავშვის უფლებათა კოდექსზე“ საუბრისას აღნიშნა, ამ კოდექსის ანტიეროვნულობასთან დაკავშირებით კითხვები არ უნდა დარჩეს.

„ჩვენ პირველად შემოგვაქვს საკანონმდებლო დონეზე, რომ ჩვენი შვილები მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით უნდა აღვზარდოთ. ასევე, სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები დასაშვები იქნება მხოლოდ და მხოლოდ მშობლის თანხმობით. ასევე, თუ ოჯახი მოითხოვს კონკრეტულ შემთხვევაში, მართლმადიდებლურ ეკლესიას და სხვა კონფესიებს, ვისაც მოითხოვს კონკრეტული ოჯახი, მათ უფლება ექნებათ ჩაერთონ და კონსულტაციები გაიარონ ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. უბრალოდ მინდა ვკითხო საზოგადოებას — ეს ყველაფერი შეიძლება იყოს ანტიეროვნული? — რა თქმა უნდა, არ შეიძლება. აქ არის კონკრეტული გარანტიები ჩადებული იმისა, რაც სჭირდება ჩვენს ქვეყანას, რაც სჭირდება ოჯახების გაძლიერებას, ჩვენი ბავშვების კეთილდღეობას. მზად ვარ, ნებისმიერ ადამიანთან გავიარო კონსულტაციები, აქაც შეუძლიათ მობრძანდნენ კომიტეტის სხდომაზე, რომ არ დარჩეს კითხვები ამ კოდექსის ანტიეროვნულობასთან დაკავშირებით“, — განაცხადა კილაძემ.

ნათია მეზვრიშვილი: ყველაფერი კარგად არ არის, დანაშაული ხდება, მაგრამ...

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილი ქალთა გაძლიერების ფორუმს დაესწრო, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის — PROLoG-ის და პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიების დასრულების შემდეგ ნათია მეზვრიშვილმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა, მათ შორის დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე.

„გასული დღეების განმავლობაში ძალიან ბევრი ვისაუბრეთ, მინისტრმა დეტალურად ისაუბრა. ძალიან ხშირად აქცენტი ხდება იმაზე, რომ მოხდა, მაგალითად, ყაჩაღობა, ძარცვა, მკვლელობა, თავისუფლების აღკვეთა. სამწუხაროდ, შემდეგ საუბარი აღარ გრძელდება, თუ რა რეაგირება მოაყოლა ამას პოლიციამ. ყველაფერი კარგად არ არის, დანაშაული ამ ქვეყანაში ხდება, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია როგორია ამ ფაქტებზე პოლიციის რეაგირება. აბსოლუტურად ყველა გახმაურებული ფაქტი, რომელიც ბოლო პერიოდში მედიაში გადაიცა — გაიხსნა. დამნაშავეები არიან დაკავებულები, მათ შეეფარდათ პატიმრობა და ძალიან მკაცრი სასჯელი ემუქრებათ. ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია — დაუსჯელი არცერთი ქმედება არ რჩება, ამიტომ დანაშაულს თუ ჩაიდენთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან რეაგირება იქნება ძალიან მკაცრი.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული საქართველოს შვიდი მშვიდობიანი მოქალაქის ნეშტი ოჯახებს გადაეცა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აქტიური ჩართულობით და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ეგიდით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული საქართველოს შვიდი მშვიდობიანი მოქალაქის ნეშტი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში შესაბამისი პროცედურების ჩატარების შემდეგ ოჯახებს გადაეცა.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან ნეშტების გადმოსვენება მიმდინარე წლის 19 მარტს განხორციელდა. 2017 წლის ოქტომბრის თვეში, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის სოფელ თამარაშენის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ განხორციელდა სამარხის გახსნა და ნეშტების ექსჰუმაცია.

ნეშტებს ჩაუტარდათ ექსპერტიზა საერთაშორისო ლაბორატორიაში ხორვატიის ქალაქ ზაგრებში, რის შედეგადაც მათი იდენტიფიცირება მოხდა.

90-იან წლებში ცხინვალის რეგიონში მომხდარი კონფლიქტის, ასევე 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების საკითხთან დაკავშირებით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ეგიდით ფუნქციონირებს სამმხრივი საკოორდინაციო მექანიზმი, რომელშიც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს.

პილნია ზავი

(პირველი გვერდიდან)

ერთი გონიერი (ობიექტური) ანალიტიკოსი ბრძანებდა, **საზოგადოებაში რეალობის აღქმა გაცილებით მძიმეა, ვიდრე თვითონ რეალობაო**. ძნელია, არ დაეთანხმო, მაგრამ, ვფიქრობ, აქ წერტილის დასმა არ არის სწორი. შევეცდები, წარმოდგენილ შეფასებას შინაარსობრივად უფრო სრული სახე მივცე – **საზოგადოებაში რეალობის აღქმა გაცილებით მძიმეა, ვიდრე თვითონ რეალობა, ხოლო რეალობის მიწოდება იმაზე მძიმეა, ვიდრე რეალობის აღქმა**.

მთავარ მიზეზებზე საუბარი უნდა იყოს და ზემოთ ციტირებული შეფასების შესავსებად შემოთავაზებული ნაწილით სწორედ რომ მიზეზი გამომაქვს წინა პლანზე. **მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უმრავლესობის მიერ რეალობის მიწოდება ისეთი დამძიმებული და ისეთი დამახინჯებული შინაარსითა და ფორმით წარმოებს, რომ სინამდვილის დანახვა, უბრალოდ, შეუძლებელი ხდება**. პოლიტიკის ენაზე ამას **ტვინების გამორეცხვის ტექნოლოგია** ეწოდება, რაც არის მავნებლობა, სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების უგულვებელყოფა და შელახვა, მშვიდობისა და შენების საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედება.

* * *

„ხაზარაძის ქეისის“ პარალელურად, „გაუფასურების სენი შეეყარა“ მოსამართლეებთან დაკავშირებულ აჟიოტაჟსაც. სასამართლოს თემაზე დეტალური ანალიზი „რეპორტიორის“ მკითხველს უკვე გავაცანი ჩემს ორ წერილში (14.01.2019; 21.01.2019), ამიტომ, ორიოდ სიტყვით მხოლოდ შემდგომი პერიოდის მოვლენებს შევეხები:

ხელისუფლების ოპონენტებს სამართლებრივი არგუმენტები რომ არ მოეპოვებათ, ცდილობენ, პროცესი პოლიტიკურ სიბრტყეში გადაიტანონ, მაგრამ რა გინდა ქნა, როცა აქაც არგუმენტებია საჭირო? ცხოვრებაში არის ხოლმე სიტუაცია, სადღაც ზომაზე მეტად რომ შეტოპავ, მერე უკან გამოსვლა რომ გიჭირს და სულ უფრო და უფრო ღრმად რომ იძირები უსაზრისობის ჭაობში. ასეთ ვითარებაში აღმოჩნდნენ ეკა ბესელია და მისი „ძმადნაფიცები“.

ჯერ მოინდომეს კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადაყენება საპროტესტო აქციად შემოესაღებინათ, შემდეგ ანტიკონსტიტუციური კანონპროექტის ინიცირებით სცადეს წყლის ამღვრევა და ბოლოს იქამდეც კი მივიდნენ, რომ „იხელმძღვანელეს რა“ სააკაშვილის „გამოცდილებით“, მოითხოვეს საკონსტიტუციო ცვლილებები, ანუ კონკრეტულ პოლიტიკურ ინტერესზე კონსტიტუციის მორგება.

„ბესელიას ჯგუფის“ თემა მჭიდრო კავშირშია ხაზარაძის თემასთან და ისიც დასაბამს იღებს შარშან გაზაფხულზე განვითარებული მოვლენებიდან (ამ საკითხზეც ზემოთ მითითებული წერილებიდან ერთერთში უკვე ვისაუბრე). ერთი რამ ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს – **ერთადერთი, ვინც შეიძლება „ძველი მოსამართლეების“ კამპანიიდან ხეირი ნახოს, „ნაციონალური მოძრაობაა“**.

ვფიქრობ, **ეს ყველაფერი ხაზარაძესაც და ბესელიასაც კარგად ესმით. ამით იმის თქმა მინდა, რომ ისინი, დიდი ალბათობით, სრულიად შეგნებულად მიდიან ამ გარიგებაზე**. შესაძლოა, ბესელია ამას აკეთებდეს გარემოებებით ნაკარნახევი იძულებიდან გამომდინარე, რასაც ვერ ვიტყვით ხაზარაძეზე, რომელიც ახლო წარსულში „ნაცებთან“ ინტერესთა თანხვედრაში არაერთხელ „არის შემჩნეული“ და კოლეგა ბიზნესმენების მიერ მხილებული.

როდესაც ბესელიასთან დაკავშირებით ამ შეფასებას **პარლამენტის თავმჯდომარე** აკეთებდა, „ოცნებიდან“ გარიყულებმა სცადეს, ამისთვის „ახლების“ მიერ „დამსახურებულ ოცნებისტებთან“ აკრძალული ხერხებით ბრძოლის იარლიყი მიეწებებინათ და ერთი პერიოდი, პარტიაში და მის მხარდამჭერებში გარკვეული თანაგრძნობაც გამოიწვიეს. მაგრამ, მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში დაბრუნებულმა **ირაკლი ღარიბაშვილმა,** პირველივე ინტერვიუში, კიდევ ერთხელ, მკაფიოდ დაარქვა მოვლენებს თავისი სახელი, რომ ეკა ბესელიას ქმედებები „ნაცების“ წისქვილზე უშვებს წყალს, შიდა აჟიოტაჟი მთლიანად ჩაქრა. აქ კიდევ ერთხელ უნდა ვაღიაროთ – მართვის ტექნოლოგიებში **ბიძინა** მართლა მაგარია.

დასასრული. დასაწყისი იხ. №59

სასამართლოს თემაზე დასკვნის სახით ვიტყვი, რომ კონსტიტუცია და კანონი პიროვნებებზე და პიროვნებებისთვის არ იწერება და რომ მიზანი არ ამართლებს საშუალებებს.

დაველოდოთ ვენეციის კომისიის დასკვნას. თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არაჯანსაღი აჟიოტაჟისთვის ხელმოსაჭიდი „ხავსიც“ აღარ დარჩება.

* * *

მესამე თემა, რომლით სპეკულირებასაც ოპოზიცია, სავარაუდოდ, ხანგრძლივ პროცესად აქცევს, მაჟორიტარული არჩევნების გაუქმების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებაა. ყველაფრიდან ჩანს, რომ კამპანია პირდაპირ შედეგზე არ არის გათვლილი. მისი მიზანია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ამომრჩევლის მობილიზება.

წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ მილიონი ხელმოწერის შეგროვება ვერ მოხერხდება, რადგან ამის გაკეთება ფიზიკურად არის შეუძლებელი. შეუძლებელია იმიტომ, რომ ათასობით აქტივისტის მობილიზებას და შესაბამის ფინანსებს მოითხოვს.

როდესაც ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია, უფრო „მწვავე“ თემების „ასაწევად“, ვერ ახერხებს, ერთჯერადად, მთელი საქართველოდან სამი-ხუთი ათასი კაცის თავმოყრასაც კი („აუუ, რამდენი ვაართ ?!!) ხანგრძლივი აქციის ორგანიზებაზე საუბარიც კი სასაცილოა. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ხელმოწერების შემგროვებლებს შეხვდებათ, არის ის, რომ „ოცნების“ წინაღმდეგ ხმის მიმცემებიდანაც, ბევრი (თუნდაც საჯარო ინსტიტუციებში დასაქმებულები) არ ისურვებს თავისი მონაცემების ღიად გამოხატვას.

> მიუხედავად ამისა, ვიცით რა, „ნაცები“ როგორ სიყალბეებზეც არიან წამსვლელები, წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაერქმევა მილიონი ხელმოწერა, შემდეგ ცესკო შეამოწმებს დოკუმენტაციას და სიებში აღმოჩნდება ბევრი ლაფსუსი, შემდეგ ამაზე „ნაცები“ ხან თვითონ და ხან ე.წ. არასამთავრობოების, ხანაც მაჭუტაძე-ბერძენიშვილ-უსუფაშვილ-კაციტაძე-ელისაშვილის, ხან კიდევ გვარამია-გრიგოლია-ჯანგირაშვილ-ჟიჟილაშვილ და ხუხაშვილ-საყვარელიძე-ლაგაზიძისა და ზოგიერთთა პირებით, კინაღამ ლომჯარია გამომრჩა, დასცემენ ყიჟინას, შემდეგ ამაზე ხელისუფლება იტყვის... და ა.შ. და 2020 წლის ზაფხულიც მოვა.

ერთი სიტყვით, რაც ზემოთ ითქვა და რაც კიდევ შეიძლება ამასთან დაკავშირებით მოხდეს, ყველაფერი წყალია, ხოლო ნაღდი ისაა, რომ **საკონსტიტუციო ცვლილებები პოლიტიკურად და მორალურად სრულიად გაუმართლებელია**. ამას კატეგორიულად ვაცხადებ. მორალურად იმიტომ, რომ კონსტიტუციის ცვლილება ასე სწრაფად და თანაც ვიღაცის ხუშტურიდან გამომდინარე არ უნდა ხდებოდეს, თანაც იმ ფონზე, რომ საკონსტიტუციო კომისიაში ოპოზიციამ თვითონ ჩააგდო საკითხი და აგრეთვე, იმ ფონზე, რომ მიუხედავად ამისა, აღნიშნული რეფორმა უკვე გათვალისწინებულია 2024 წლის არჩევნებისთვის.

რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს – სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური სისტემა ვერ ჩამოყალიბდა. ასეთ პირობებში, **როცა ასპარეზზე ორი პოლიტიკური ძალაა, რომელთაგან ერთი – აღიარებული დამნაშავე და რევანშისთვის განწყობილი ბოლშევიკურ-ფაშისტური წარმონაქმნია და როცა რამდენიმე ათეული თითოკაციანი ე.წ. პარტია პირდაპირ დახლზეა გამოდებული იმ თითო კაცის მიერ, პროპორციული არჩევნები სამარცხვინო და ამაზრზენ ბაზრად გადაიქცევა**.

პოლიტიკური კვალიფიკაციის მთავარი მახასიათებელი თანმიმდევრულობაა. სწორედ ამ თვისებით გამოირჩევა „ქართული ოცნება“ და ამიტომაც მეიმედება მისი. ხელისუფლება მაშინ არის ძლიერი, როცა შემუშავებული აქვს ქვეყნის განვითარების ოპტიმისტური და ამავე დროს, რეალისტური პროგრამა და როცა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში განუხრელად იცავს სიტყვისა და საქმის ერთიანობის პრინციპს და როცა ამ გზაზე არ უშინდება არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღებასაც კი.

ოცდაათწლიანი ძარცვისა და ნგრევის (ამაში სულიერ ძარცვასა და ნგრევასაც ვგულისხმობ) შემდეგ, იმ დიდი პასუხისმგებლობის აღება, რასაც ქვეყნის მართვა ჰქვია, ისედაც არ არის ადვილი საქმე. მაგრამ იმ ურთულეს პირობებში, რაც ჩვენ ქვეყანაში იყო და არის, ამას აკეთებდე ისე, რომ არც ერთხელ არ აჰყვე „დიდი და კეთილი მიზნებით“ საშუალებების გამართლების ცდუნებას, სასწაულის ტოლფასია.

თანმიმდევრულობა პოლიტიკური კვალიფიკაციის გარდა, **პოლიტიკური ღირსების საზომიც არის**. არ მჯერა მოსამართლეებისთვის აკრძალვების დაწესების მოთხოვნის სიწრფელის, როცა **სისტემის ავტორებისთვის** პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის მოთხოვნას არ აყენებ. იგივე ითქმის ხელმოწერების შეგროვებაზეც. **როდესაც შეგიძლია შენს მიერვე სისტემურ დანაშაულებში მხილებულ პოლიტიკურ ძალას ზავით შეეკრა, თუნდაც კეთილი მიზნებიდან გამომდინარე, ჩვეულებრივი პოლიტიკური როსკიპი ხარ**.

* * *

კარგა ხანს ვიკავებდი თავს ამის თქმისგან, მაგრამ სხვაც რომ არაფერს ამბობს, ვხვდები, რომ ამ საყოველთაო უთქმელობით მთელი საზოგადოება სირაქლემის პოზაში ვიყენებთ თავს. **სამწუხარო ფაქტია, რომ ტელევიზია „პალიტრაც“, თანდათან, რომ იტყვიან - თვალსა და ხელს შუა, „რუსთავი-2“-ისა და „ტვ-პირველის“ „ტრენდზე დაჯდა“**. ხმის ამოღების მიზეზი იგივეა, რაც აქამდე სიჩუმის მიზეზი იყო – ამ მედიაჰოლდინგის ზოგიერთი წარმომადგენელი მაღალი პასუხისმგებლობით არის ჩართული „ქართული ოცნების“ საქმიანობაში.

ვერასდროს ვერ ვიგებდი და ახლაც ძალიან მიჭირს ამის ახსნა, **როგორ უნდა ახერხებდე, რომ ერთდროულად „აქაც“ იყო და „იქაც“?!** ეტყობა, იმ ზოგიერთისთვის, ამ ეტაპზე, კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძესთან ერთობლივი ინტერესები უფრო „პრიორიტეტულია“, ვიდრე ობიექტურობა, ვიდრე ჟურნალისტური ეთიკა და ვიდრე სახელმწიფო ინტერესი.

> მათ, ვინც „პალიტრაზე“ იშვიათად რთავს ტელევიზორს, მცირე სტატისტიკურ ინფორმაციას მივაწვდი: ბოლო ორი კვირის განმავლობაში (8-დან 21 მარტის ჩათვლით) არხის მთავარ პოლიტიკურ გადაცემაში „360 გრადუსი“ მიწვეული იყო „ქართული ოცნების“ 25 „მოსისხლე მტერი“, მაშინ როცა, ხელისუფლების მხოლოდ სამ წარმომადგენელს მიეცა საშუალება, ესაუბრა ტელემაყურებელთან.

* * *

„ქართული ოცნება“, ალბათ, დიდ მადლობას გადაუხდის შალვა შავგულიძეს იმ დახმარებისთვის, რაც ამ უკანასკნელმა გაუწია სახელისუფლებო გუნდს თავისი **შინაგანად გულწრფელი** გადაწყვეტილებით. შალვა შავგულიძე არის ხელისუფლების მიღმა მყოფი ოპოზიციისა და ცალკე აღებული თითოეული ფსევდო პოლიტიკოსლიდერის ჭეშმარიტი სახე, უტიპიურესი მაგალითი. ის არის ეპოქის მეორე უსუფაშვილი და მესამე ბერძენიშვილი.

რატომ უსუფაშვილი და ბერძენიშვილი... დღემდე ყველა თანმხდებოდა იმ შეფასებაში, რომ ქართველი „რესპუბლიკელი“ იყო ერთგვარი განზოგადებული სახე იმ პოლიტიკური სუბიექტ-ობიექტისა, ვინც მუდმივად ძლიერ პატრონს ეძებს და პოულობს კიდეც, რადგან მზის ქვეშ ადგილის მოსაპოვებლად ყველა კომპრომისზეა წამსვლელი. საზოგადოების მიერ მათთვის ნიჭიერად შერქმეული პოლიტიკური მეტსახელი – „თეიმურაზ ხევისთავის სახელობის პოლიტიკური კლუბი“ – ათწლეულებს ითვლის.

თეიმურაზ ხევისთავისთვის ჯაყო ისეთივე აუცილებლობაა, როგორც ჯაყოსთვის თეიმურაზ ხევისთავი. **ჯაყოების ასპარეზი მხოლოდ თეიმურაზ ხევისთავების გარემოშია. თავის მხრივ, თეიმურაზ ხევისთავები სასიცოცხლო ენერგიას მხოლოდ ჯაყოების მეშვეობით იძენენ,** რადგან, სხვანაირად, დახურულ სივრცეში დაჭკნობით გადაშენებისთვის არიან განწირული. მართალია, მათი ასეთი ყოფნა არყოფნის ტოლფასია, მაგრამ რას იზამ, არწივის მსგავსად, მცურავიც ღმერთისგან არის გაჩენილი.

ბიძინა დვალი

თეიმურაზ ხევისთავისთვის ჯაყო ისეთივე აუცილებლობაა, როგორც ჯაყოსთვის თეიმურაზ ხევისთავი. ჯაყოების ასპარეზი მხოლოდ თეიმურაზ ხევისთავების გარემოშია. თავის მხრივ, თეიმურაზ ხევისთავები სასიცოცხლო ენერგიას მხოლოდ ჯაყოების მეშვეობით იძენენ, რადგან, სხვანაირად, დახურულ სივრცეში დაჭკნობით გადაშენებისთვის არიან განწირული. მართალია, მათი ასეთი ყოფნა არყოფნის ტოლფასია, მაგრამ რას იზამ, არწივის მსგავსად, მცურავიც ღმერთისგან არის გაჩენილი.

P. S.

ყველა დროში იყვნენ ადამიანები, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ისე არაფერი ზღუდავს თავისუფლებას, როგორც ზნეობა. საქართველოში დღეს ასეთი ადამიანები მრავლად არიანო, ამის თქმა არასწორი იქნება. უბრალოდ, პრობლემა ისაა, ყველა ზნეობისგან თავისუფალმა პოლიტიკაში რომ მოიყარა თავი.

ყველაზე უცნაური, რაც მახსენდება, ეს იყო კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის გაერთიანება, რომლებიც მანამდე დაუძინებელი მტრები იყვნენ...

სად არის მორალი ქართულ პოლიტიკაში და საერთოდ უნდა არსებობდეს თუ არა მორალური ღირებულებები პოლიტიკაში, თუკი პოლიტიკა ბინძური თამაშია? პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ შალვა შავგულიძე დღეს გირგვლიანის მკვლელების გვერდით დგას, რაც მეტყველებს, რომ ამ ადამიანებს არა აქვთ არანაირი პრინციპები.

ღირს თუ არა პოლიტიკაში დარჩენა ყველაფრის ფასად? ამის შესახებ ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი გვესაუბრება.

— არსებობს პარტიებს შორის იდეოლოგიური შეუთავსებლობა და არსებობს იდეოლოგიური, ღირებულებითი მსგავსებებიც, მაგრამ მორალი ამ ყველაფერზე მაღლა დგას და იგი წმინდა ადამიანური ფენომენია. დღევანდელი პოლიტიკა რამდენად სცდება მორალურ ჩარჩოებს? შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ მორალიდან გამომდინარე, ადამიანები იქცევიან საკუთარი სინდისის მოთხოვნით?

— მორალი ძალზე ფარდობითი ცნებაა. განსაკუთრებით, დიდ პოლიტიკაში, სადაც მორალი კონკრეტული პოლიტიკითაა ნაკარნახევი, ძალიან მაღალ კრიტერიუმს ვერ მოვთხოვთ პარტიებს. მათთვის მთავარია ხელისუფლებაში მოხვედრა, დანარჩენი, უკვე ტექნიკის საქმეა, თუ როგორ მოახერხებენ ამას. მათი მიზანია, მოიპოვონ მეტი მანდატი და პარლამენტში საკუთარი პარტიის მეტი წევრი გაიყვანონ. ეს სამწუხაროა, მაგრამ ასეა.

— ბოლო დროს ჩვენ ვიხილეთ უცნაური ალიანსები — თუნდაც „თავისუფალ დემოკრატებს“ არ აყენებს ჩრდილს, რომ ყოფილ „ნაცებთან“ ხანმოკლე ზავს დებენ წინასაარჩევნო პერიოდში? ბევრისთვის „ნაცი“ ისევ „ნაცად“ რჩება და არა აქვს მნიშვნელობა, „ევროპელი“ ნაცია თუ „ნაციონალურ მოძრაობაში“ ბოლომდე ჩარჩენილი „ნაცი“.

— „ნაცებს“ იმდენად აქვთ სახელი გატეხილი, რომ, რასაკვირველია, „თავისუფალ დემოკრატებს“ მათთან ალიანსი ჩრდილს აყენებს. თუმცა მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმების ნაკლებობა მხოლოდ ქართული პოლიტიკის მინუსი არ არის, ეს ზოგადად პოლიტიკის დამახასიათებელი თვისებაა. პოლიტიკა რა არის? საბოლოო ჯამში, ეს არის ძალაუფლებისთვის ბრძოლა, ამ ბრძოლაში ნურავინ ელოდება, რომ მორალურ-ზნეობრივი კატეგორიები გაიმარჯვებს. სამწუხაროდ, ასე არ ხდება.

— ჩვენ გვახსოვს გრიგოლ ვაშაძესთან ერთად ერთ მაგიდასთან მსხდომი ბურჯანაძე, უსუფაშვილი და სხვა ოპოზიციური ლიდერები...

— ეს ყველაფერი საბოლოო მიზნით აიხსნება. აბსოლუტურად გაუგებარი და უცნაური გაერთიანებები მომხდარა ქართულ პოლიტიკაში. 90-იანი წლებიდან დაწყებული, ყველაზე უცნაური რაც მახსენდება, ეს იყო კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის გაერთიანება, რომლებიც ერთი წლის წინათ დაუძინებელი მტრები იყვნენ, შეიარაღებულ კონფლიქტშიც კი იყვნენ ერთმანეთთან.

— თუმცა მათი სულისკვეთება და იარაღისადმი დამოკიდებულება თითქმის ერთი იყო.

— მათი მიზანი იყო ძალაუფლების მოპოვება. ისინი ძალას, ანუ ძალის ავტორიტეტს სცემდნენ პატივს. ახლაც „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „ევროპული საქართველოს“ გაერთიანებით ვინ იხეირებს? „თავისუფალი დემოკრატები“ „ქართული ოცნების“ კოალიციაში შედიოდნენ და სამართლიანობის აღდგენისთვის იბრძოდნენ, შალვა შავგულიძის სახელი სამართლიანობის აღდგენასთან იყო დაკავშირებული, გირგვლიანის საქმესთან, რაც „ნაციონალური“ რეჟიმის მსხვერპლთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლო იყო. სამართლიანობისთვის ბრძოლა ჩვენთვის გირგვლიანის საქმესთან ასოცირდებოდა. „ევროპული საქართველო“ ამ გაერთიანებით ცდილობს, ახალი იმიჯი მოირგოს, მორალურ-ზნეობრივ შეფასებებში წავიდეს და თქვას, შავგულიძე ჩვენთანაა და რაღას გვერჩით? ეს ნიშნავს ზუსტად იმ წარსულის გარკვეულ რევიზიას, საიდანაც „ევროპული საქართველო“ მოდის.



— ამით „ევროპული საქართველოს“ რეაბილიტაცია მოხდება?

— არა მგონია, იმდენად აქვთ სახელი გატეხილი, მაგრამ მცდელობა არის. ზუსტად იმ სარგებელს ხედავს ამ გაერთიანებით „ევროპული საქართველო“, რომ წარსულის რევიზია მოახდინოს. თავისთავად ეს მიანიშნებს, რომ ისინი კრიტიკულად აფასებენ წარსულს. მეორე მხარეა, თვითონ „თავისუფალი დემოკრატები“ ამით რას მიიღებენ. მათ საპარლამენტო არჩევნებში რაიმე წარმატების მიღების არავითარი რესურსი არა აქვთ, ამიტომ ფიქრობენ, რომ „ევროპულ საქართველოსთან“ თუ გაერთიანდებიან, რაღაც შედეგს დადებენ. ოფიციალურად მათ ერთი და იგივე იდეოლოგია აქვთ, ორივე წარმოადგენს დასავლური ორიენტაციის ზომიერ მემარჯვენე პარტიას, ორივე ლიბერალური პარტიაა. აქედან გამომდინარე, რაც მეტი ასეთი გაერთიანება მოხდება და გაიწმინდება პოლიტიკური სივრცე, უკეთესი იქნება. 200-მდე რეგისტრირებული პარტიაა ამ პატარა ქვეყანაში, რაც არანორმალურია. ამიტომ ამაში პოზიტივიც უნდა დავინახოთ. ნუ შევხედავთ ისე, რომ პარლამენტარები და პოლიტიკოსები მორალურ-ზნეობრივი იდეალები, ეტალონები უნდა იყვნენ, ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, როგორი ცოდვილებიც ვართ ყველანი, პოლიტიკაშიც ასეა და პოლიტიკაში ასეთი ადამიანების რაოდენობა კიდევ უფრო მეტია, რადგან თვითონ საგანი პოლიტიკის, ანუ ძალაუფლებისთვის ბრძოლა ნაკლებადაა დაკავშირებული მორალურ-ზნეობრივ საქციელთან. ამიტომ ასეთი ხალხის მოზღვავება არ უნდა გაგვიკვირდეს. მე იმას არ ვამბობ, რომ უზნეო უნდა იყოს პოლიტიკა, არა, ასე არ უნდა იყოს, მაგრამ ოქროს შუალედია საჭირო. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცდუნება არის ძალაუფლების მიცემა. გაიხსენეთ, ქრისტეს გამოცდა ეშმაკის მიერ, მთელი წუთისოფლის ძალაუფლებას და დიდებას მოგცემ შენო, ეუბნება ქრისტეს ეშმაკი, ე.ი. ძალაუფლებაში საცდურიც მეტია და ძალიან ძნელია პოლიტიკიდან სუფთად გამოხვიდე. რასაკვირველია, მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმით პოლიტიკოსის შეფასება საჭიროა, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს კატეგორიულ-იმპერატიული. პირადად მე ასეთ გაერთიანებებში პოზიტივს უფრო ვხედავ, რადგან პარტიები დაიწმინდება, გავლენების მქონე პოლიტიკური ძალები ჩამოყალიბდება, სრულიად გაურკვეველი წარმონაქმნი 200-მდე პარტია აღარ იქნება.

— ეს ხომ არ არის მესიჯი საზოგადოებისთვის, რომ დამთავრდა თქვენი ფიქრი სამართლიანობის აღდგენაზე. თავის დროზე ძალად თავს მოხვეული კოჰაბიტაციით კეკლუცობდნენ ეს ადამიანები და ახლა ნებაყოფლობით შედიან ასეთ ალიანსებში? ხალხი ამიერიდან ვის უნდა ენდოს? „ევროპულ საქართველოს“ ნუ შევხედავთ ასე, „ევროპულ საქართველოს“ აქვს მცდელობა, „ნაციონალების“ წარსულიდან გამოვიდეს.

— დიახ, მაგრამ იქ არიან ბოკერია და სხვანი. მაგრამ მათ დემონიზაციას არ ვემხრობი. რასაკვირველია, მას ბევრი პოლიტიკური ცოდვა აქვს და შესაძლებელია, დანაშაულიც აქვს ჩადენილი, მაგრამ დემონიზაცია შედეგს არ მოიტანს. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ „ევროპულ საქართველოს“ მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი უჭერდა მხარს, რაც საპრეზიდენტო არჩევნების პირველმა ტურმაც აჩვენა. ადგილობრივ არჩევნებშიც გარკვეული ელექტორალური მხარდაჭერა მას აქვს.

— თუკი ყველაფერი დაშვებულია ქართულ პოლიტიკაში, მაშინ ერთი წუთით დავუშვათ ადა მარშანიას ფიგურალური ნათქვამი „ნაცებთან“ „პატრიოტთა ალიანსის“ გაერთიანების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, რას მივიღებთ, სრულ პოლიტიკურ ქაოსს?

— ადა მარშანიამ ეს ფრაზა პარლამენტის თავმჯდომარესთან კამათისას თქვა, „ნაცებთან“ გაერთიანდებითო. ეს ნათქვამი სიტყვამ მოიტანა. ადა მარშანიას იმის თქმა უნდოდა, „ქართული ოცნება“ იმდენად დისკრედიტირებული გახდა, რომ ესეც კი არ გამოირიცხება, „ოცნების“ წინააღმდეგ „პატრიოტთა ალიანსი“ გაერთიანდეს „ნაცებთანო“. რაღაც სიმართლე ადა მარშანიას ნათქვამში არის, რადგან ძალიან დაკარგა ავტორიტეტი „ქართულმა ოცნებამ“. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ პარტიების დისკრედიტაციის პროცესი უსასრულო ვარდნასავით გრძელდება და ყველა პარტია სახელგატეხილია. „ქართულ ოცნებას“ უნიათობაში სდებენ ბრალს, მაგრამ ოპოზიციის უნიათობა კიდევ უფრო თვალსაჩინოა, მათ არ შეუძლიათ „ქართული ოცნების“ რეალური ალტერნატივა შექმნან. ეს კომიკურიცაა.

— ჩვენ ვნახეთ, რომ არჩევნებზე ხალხი სურვილის გარეშე მიდიოდა. პროცესები იქამდე ხომ არ მივა, რომ საზოგადოება დაკარგავს პოლიტიკისადმი ინტერესს და აღარც სამართლიანობის აღდგენა იქნება პრიორიტეტული?

— ჩვენი ხალხი ამ ინტერესს ვერ დაკარგავს, რადგან ეს ინტერესი ცხოვრებისეულია. პოლიტიკაში აქცენტი კეთდება რეალურ ინტერესებზე, უწინარესად, ეს არის შემოსავალი. პოლიტიკის საბოლოო მიზანი არის კეთილდღეობა და უსაფრთხოება. როგორც ბოლოდროინდელმა პერიოდმა გვიჩვენა, სამართლიანობის აღდგენაც ფარდობითი რამ ყოფილა, ვისთვის რა არის სამართლიანობა. სააკაშვილისთვის სამართლიანობის აღდგენა იქნება, საქართველოში დაბრუნდეს, ისევ პრეზიდენტი გახდეს, ივანიშვილი ჩასვას ციხეში და ქონება წაართვას. საუბედუროდ, სააკაშვილი მარტო არ არის, მას მომხრეებიც ჰყავს, ისინი ბევრნი არიან. თუმცა სააკაშვილის დაბრუნების საფრთხის არ მჯერა, იმდენად არის ის დისკრედიტირებული, წარმოსადგენ მომავალში არა მგონია, რაიმე რევანში მოახერხოს საქართველოში. ფაქტია, ახლა სამიზნე იცვლება, ადრე „ნაცები“ იყვნენ მთავარი სამიზნე, ახლა ისეთი ვითარებაა, მთავარ სამიზნედ „ქოცები“ იქცნენ. გააფთრებული ბრძოლა იქნება ამ არჩევნებზე. „ქართული ოცნება“ უმრავლესობის ზღვარზე იქნება, მთავრობის ფორმირებას ან შეძლებს, ან ვერ შეძლებს. მოუწევს თუ არა მას კოალიციაში შესვლა „პატრიოტთა ალიანსთან“, ან რომელიმე სხვა ძალასთან, ამას არჩევნები დაგვანახვებს. შესაძლებელია, კოალიცია არც დასჭირდეთ და ნახევარზე მეტი მანდატი აიღონ პარლამენტში, 76 მანდატი ჰქონდეთ და შეძლონ მთავრობის ფორმირება. მაისში დაგეგმილ შუალედურ არჩევნებზე მთაწმინდაზე და, ასევე, 11 მუნიციპალიტეტში ბევრ რამეს დავინახავთ. ეს არჩევნები მომავალი წლის არჩევნების კონტურებს გამოკვეთს.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ნორვეგიის სამეფოში ქართულ-ნორვეგიული სავაჭრო პალატა დაარსდა

ნორვეგიის სამეფოში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით, ქართულ-ნორვეგიული სავაჭრო პალატა დაარსდა.

ღონისძიებაზე სტუმრებს სიტყვით მიმართეს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მაია ყიფშიძემ და ქართულ-ნორვეგიული სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ და ბრიტანულ-ნორვეგიული სავაჭრო პალატის მმართველი საბჭოს დირექტორმა დავით დუნდუამ. საქართველოს ელჩმა ღონისძიებაზე ისაუბრა ქართულ-ნორვეგიული სავაჭრო პალატის მიზნებზე და სტუმრებს გააცნო საქართველოში არსებული საინვესტიციო და ბიზნესკლიმატი, ასევე პრიორიტეტული სფეროები.

სტუმრებს სიტყვით ასევე მიმართეს საქართველოში მსხვილი ინვესტიციების განმახორციელებელი კომპანიების „**Norsk mineral**“-ისა და „**Green Seafood Group**“-ის გენერალურმა დირექტორებმა კირე იოჰანსენმა და სტაინარ გრავოსმა, მათ ისაუბრეს საქართველოში ბიზნესის წარმოების გამოცდილებებზე.

რა აფორიაქებს ზუგდიდს?!

ანუ „მეგრული პოეზიის ანთოლოგიიდან“ სანდრა რულოვსამდე!

ამ ორიოდე წლის წინათ უნიჭიერესმა მწერალმა გური ოტობაიამ (გულადი ფეტელავა) მეგრულენოვან მკითხველს ფრიად საინტერესო პროექტი შესთავაზა — მისი ხელდასხმით გამოიცა დიდი ფორმატის 1000-გვერდიანი (ორიგინალური დიზაინითა და გაფორმებით) იშვიათი კრებული **„მეგრული პოეზიის ანთოლოგია“**.

კრებულში მეგრული ხალხური ზეპირსიტყვიერების საუკეთესო პოეტურ ნიმუშებთან ერთად თავმოყრილია მე-20 საუკუნისა და თანამედროვე პოეტების მეგრულენოვანი ლირიკა.

პროექტის ავტორიც და გამომცემლებიც დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენ მიერ გამოცემული მოკრძალებული ტირაჟი (სულ 2000 ეგზემპლარი) უცებ „აორთქლდებოდა“ და უახლოეს პერიოდში ანთოლოგიის ტირაჟირების აუცილებლობის წინაშე დავდგებოდით!

სამწუხაროდ, იმედი გაგვიცრუვდა — ფორმითა და შინაარსით მართლაცდა იშვიათი გამოცემა, რომელიც კოლხურ საუნჯეს (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) აერთიანებს, დღესაც მკითხველის მოლოდინშია — ჩემთვის უძვირფასესმა სამეგრელომ ამ კრებულის იშვიათობა, სამწუხაროდ, ვერ გააცნობიერა, არადა, გასაყიდი ფასიც დანახარჯებთან შედარებით საკმაოდ მოკრძალებული გახლდათ.

რამ გამახსენა „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“?

ამ ბოლო ხანებში ადგილობრივმა „მოსეპარატისტო“ ელემენტებმა ისევ ააგორეს ანტიქართული კამპანია — **აქაოდა მეგრული ენა რომ გადარჩეს, აუცილებელია სამეგრელო ავტონომიურ (დამოუკიდებელ) ერთეულად გამოცხადდესო.** ჩასაფრებულებსაც მეტი რა უნდოდათ — ცენტრში აქტიურად დაიწყეს საუბარი სამეგრელოში სეპარატისტული განწყობის არსებობაზე. არადა, როგორც ადრე, დღესაც ამის რეალური საშიშროება არ არსებობს — რამდენიმე ტვინნაღრძობი (შინააშლილობის მოსურნე მტრის მიერ დაქოქილი) მეგრულად მოლაპარაკე ინდივიდის სეპარატისტული შეძახილი სამეგრელოს მოსახლეობის განწყობის შესატყვისი ნამდვილად არ არის!

ის, რომ უძველესი, თავისი სტრუქტურითა და ტკბილხმოვანებით იშვიათი კოლხური ენა გაქრობის საშიშროების წინაშე დგას, სადავო არ არის. რაც დრო გადის, საშიშროება მით უფრო იზრდება!

ვინ არის დამნაშავე?

დაუსრულებელი კამათი იმაზე, **რომ მეგრული სალიტერატურო ენა არ არის და ამდენად იგი სრულყოფილი ენის დანიშნულებას არ ასრულებს, შედეგს არ იძლევა.** მეგრულ ენას 4-მილიონიან საქართველოში დაახლოებით 1 მილიონზე მეტი ადამიანი ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებად დღესაც იყენებს — დღესაც იქმნება მეგრული სატრფიალო ლირიკა და ტკბილხმოვანი მეგრული მელოდიები. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ძველკოლხური ენა თანამედროვე ქართულის იშვიათი სალაროა, რომელსაც ისევე სჭირდება გადარჩენა, როგორც ზოგად ქართულს!

რამ გამახსენა გია ალიბეგაშვილი?

მიუხედავად იმისა, რომ დიდი დავიდარაბის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი **„სახელმწიფო ენის შესახებ“,** მის შესრულებაზე საქართველოს მთავრობას თავი არ შეუწუხებია — **დადგენილ ვადაში არ შეუმუშავებია (არც ახლაა, მგონი, შემუშავებული) სახელმწიფო ენის განვითარების პროგრამა. გია ალიბეგაშვილი ისე დაინიშნა დეპარტამენტის თავმჯდომარედ, მთავრობას არ დაუმტკიცებია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულება და სტრუქტურა. დღესაც არ ვიცით, სად მდებარეობს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ოფისი და გია ალიბეგაშვილი ისევ მარტოა, თუ „თანამეინახეებიც“ გამოუჩნდნენ?! არც ის ვიცი, რა რესურსებია ბიუჯეტიდან გამოყოფილი ქართული ენის სიწმინდის დაცვისთვის — ყოველ შემთხვევაში, ქვეყანაში არ იგრძნობა, რომ სახელმწიფო ენას ენის დეპარტამენტის (ხელისუფლების) სახით ჰყავს ჭეშმარტი გულშემატკივარი.**

ამ ფონზე ცოტა გაზვიადებულად მეჩვენება ზოგიერთი მეგრული წარმოშობის ინტელიგენტის სურვილი — **მეგრული ენა (ასევე სვანური), როგორც საგანი, დაწყებით კლასებში მაინც უნდა ისწავლებოდეს და ეს სავალდებულო უნდა იყოს არა მარტო მეგრული რეგიონის სკოლებისთვის! ურიგო იდეა ნამდვილად არ არის, მაგრამ, არარეალურია — როგორც ზემოთ ვთქვით, სახელმწიფო (იგულისხმება ხელისუფლება) ზოგადქართული ენის სიწმინდის შენარჩუნებაზე არ იკლავს თავს და მეტი არაა ჩემი მტერი, ახლა მეგრულ-სვანური ენის გადარჩენაზე იფიქროს!**

ამდენად, მეგრული ენის შენარჩუნებაზე თავად მეგრელებმა უნდა იზრუნონ! მახსენდება ერთ-ერთი მეგრულენოვანი ინტელიგენტის კომენტარი ჩემს ფეისბუქსტატუსზე. **იგი მეგრული ენის თანდათან გაქრობის საშიშროებას იმაში ხედავდა, რომ დღეს მეგრულ ოჯახებში ბავშვებს უკვე მეგრულად არც ესაუბრებიან.**

თქვე კაი დედმამიშვილებო: ვინ გიშლით, რომ ბავშვებს ოჯახში მეგრულად ესაუბროთ? მით უმეტეს, დღეს იმდენი საშუალებაა, ბავშვმა მეგრულთან ერთად ქართულიც აითვისოს და სკოლაში ამ მხრივ მომზადებული მივიდეს! მე, მაგალითად, პირველ კლასამდე ოჯახში მეგრულად მესაუბრებოდნენ, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი მშობლიური ენა საფუძვლიანად შემესწავლა. დღეს პირადად ჩემთვის მეგრულს თავისი ადგილი აქვს და ზოგადქართულს (მშობლიურს) თავისი!

ის, რომ მეგრულს ჭეშმარიტი გულშემატკივარი თვით მეგრელებშიც არა ჰყავს, ამის დასტური სწორედ **„მეგრული პოეზიის ანთოლოგიისადმი“** სამეგრელოს მოსახლეობის დამოკიდებულებაა — **შენსას თუ არ აფასებ, შენი მარგალიტები შენთვის ღვიძლი და ახლობელი თუ არ არის, სხვა რა თქმა უნდა, არ დააფასებს!**

ესაა მწარე სიმართლე და მოგვწონს თუ არ მოგვწონს, თვალი უნდა გავუსწოროთ!

რა დაკარგა სამეგრელოში სანდრა რულოვსმა?!

არა მგონია, სამეგრელოში მას რამე დაეკარგოს, მაგრამ, მთელი უბედურება ის არის, რომ, რაც არ დაუკარგავს, იმას ეძებს!

ეს როგორ?

ძალიან უბრალოდ: **სანდრამ კარგად იცის, რომ, თუ, ზუგდიდელებს მოეფერება, ერთ-ორ სიტყვასაც ჩაუმეგრულებს, მათ გულს ადვილად მოიგებს — ბოლობოლო, დააჭიპნოზებს, დააზომბირებს, „დაუმტკიცებს“, რომ მიშას საქართველო აღმშენებლობის გზას ადგა, ბიძინამ კი ყველაფერი ყირაზე დააყენა. საქართველოს გადარჩენა კი სამეგრელოდან, კერძოდ, ზუგდიდიდან უნდა დაიწყოს!**

მან საკუთარი ძალა ზუგდიდში ჯერ კიდევ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მოსინჯა და რომ არა მთელი სახელმწიფო რესურსების მობილიზება, როგორც ამბობენ, გამარჯვება გარანტირებული ჰქონდა! მე ამ თემას ადრეც მრავალგზის შევეხე და ახლა არ გავაგრძელებ.

ერთს კი ვიტყვი: **რატომ აქვს მიზანში ამოღებული ექსპირველ ლედის მაინც და მაინც სამეგრელო, კერძოდ ზუგდიდი? რა იმალება ამ ავანტიურის მიღმა — ხომ არ არის ამაში ცენტრსა და რეგიონს შორის ხელოვნური დაპირისპირების პროვოცირების სურვილი, რომ სანდრას გამარჯვების შემთხვევაში ხელი დანარჩენმა საქართველომ სამეგრელოსკენ გაიშვიროს და ახალი პოლიტიკური რეალობის ესკალაცია რეგიონს დაბრალდეს?!**

არც უმაგისობაა.

არის სხვა ნიუანსიც, რომელიც არანაკლებ სახიფათოა — სანდრას ზუგდიდის მერად არჩევა **„ნაციონალური რეჟიმის“** რეანიმაციის ტოლფასად იქნება აღქმული საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან, რასაც კარგად გამოიყენებენ „ნაციონალები“ (არა აქვს მნიშვნელობა, რა სახელწოდებით არიან დღეს ისინი შეფუთულნი) თუ ვადამდელ არჩევნებში არა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში საკუთარი პოზიციების გასამყარებლად.

რაც შეეხება სამეგრელოს, საკუთრივ ზუგდიდს, თუ მათ ღირსებაზე საერთოდ ხელი აიღეს და სანდრას გაამარჯვებინეს, ამ ლაძას სამეგრელო ვერასოდეს ჩამოირეცხავს!

მიუხედავად იმისა, რომ **ნიკანორ მელიაც** (რომელიც ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის შესაძლო კანდიდატად სახელდებოდა ზუგდიდის მერის არჩევნებში) **„ნაციონალური რეჟიმის“** წარმომადგენელია, მისი გამარჯვება ისეთი დრამატული არ იქნებოდა, როგორც **სანდრა რულოვსის** შემთხვევაში. თუ რატომ, ეს თავად განსაჯეთ.

ასე რომ, დღეს **სანდრა რულოვსი** ნამდვილი ტესტია ზუგდიდელებისთვის! ღმერთმა ნუ ქნას, „ფუი ეშმაკს“ ძახილი დაგვჭირდეს!

ზაურ ნაჭყებია,
პუბლიცისტი

P. S.

არა მგონია, ზუგდიდში ერთი ადამიანი მაინც არ მოიძებნოს, ვისაც მერობაზე ექნება პრეტენზია და ზუგდიდელებიც მხარს დაუჭერენ. აქ მხოლოდ პრინციპზე და ღირსების შენარჩუნებაზეა საუბარი, თორემ, რეალურად ზუგდიდის მერი კი არა, თვით პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტიც არაფერს წყვეტენ დღეს საქართველოში. ასე რომ, მე ჩემი სამეგრელო მტკივა და არ მინდა „ნაციონალური რეჟიმის“ რეანიმაცია ზუგდიდიდან დაიწყოს!

როგორც საინფორმაციო საშუალებებმა გვამცნეს, „ქართულ ოცნებას“ მერობის კანდიდატად ზუგდიდის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი შენგელია წამოუყენებია. ვნახოთ, რით დამთავრდება ორთაბრძოლა „ოცნებასა“ და „გაერთიანებულ ოპოზიციას“ შორის.

ზ. ნ

რუსეთიდან დეპორტირებულთა სარჩელი დაკმაყოფილებულია

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2006 წელს რუსეთიდან დეპორტირებული საქართველოს მოქალაქეების ინდივიდუალური სარჩელი დააკმაყოფილა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც 2006 წლის ოქტომბერში ადმინისტრაციული წესით დააკავეს და გააძევს, რუსეთმა კომპენსაციის სახით 2 000-დან 15 000 ევრო უნდა გადაუხადოს. გადაწყვეტილება მოსამართლეებმა ერთხმად მიიღეს.

სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთმა 19 მომჩივანიდან, თითქმის ყველას მიმართ ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლები დაარღვია.

დიდმა პალატამ კომპენსაციების შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა 2019 წლის იანვარში და დაადგინა, რომ 10 მილიონი ევრო უნდა გადანაწილდეს მომჩივან პირებს შორის, სასამართლოს მიერ განსაზღვრული წესით. ანალოგიური წესი მოქმედებს ამ საქმეზეც.

რუსეთმა კომპენსაცია უნდა გადაუხადოს საქართველოს მოქალაქეებს: ეკა ჩხაიძე, დავით ჯაოშვილი, ვაჟა ბერძენიშვილი, აბრამ გივიშვილი, ტატო ნორაკიძე, თენგიზ კბილაშვილი, ირინა ჩოხელი, დავით ლაცაბიძე, ირინა კალანდია, კახა ციხისთავი, ხათუნა ძაძამია, ინგა გიგაშვილი, ლია ძაძამია, ლიანა ნაჭყებია, ლევან კობაიძე და კობა კობაიძე.

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნების უმეტესობა პოლიციამ ან საიმიგრაციო სამსახურის ოფიცერმა დაიკავა და დააჯარიმა. ზოგიერთი მათგანი რუსეთიდან დეპორტირებული იყო, ხოლო ზოგმა თავად დატოვა რუსეთის ტერიტორია. სასამართლომ დაადგინა, რომ სამმა მომჩივანმა ვერ დაასაბუთა ბრალდება, კიდევ ერთმა კი საჩივარი უკან გაიტანა“, — ნათქვამია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს იმ მოქალაქეებმა, რომლებიც სულ მცირე 48 საათით დაიკავეს, კომპენსაციის სახით 10 000 ევრო უნდა მიიღონ. 12, 500 ევრო უნდა მიიღოს იმ მომჩივანმა, რომელმაც 2-დან 10 დღემდე გაატარა პატიმრობაში, ხოლო მათ, ვინც 10 დღეზე მეტი ხნით დააკავეს, რუსეთმა 15 000 ევრო უნდა გადაუხადოს.

დღეს არსებული მექანიზმი მიუღებელია!

საავტორო უფლებების დაცვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მოხდება!

საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაცია საქართველოში უკვე არსებობს, მაგრამ ქართველმა ხელოვანებმა საჭიროდ ჩათვალეს ალტერნატიული ორგანიზაციის დაფუძნება. ჰონორარების არასათანადო მონიტორინგი და საზღვარგარეთიდან გადმორიცხული თანხების დაკარგვა, ეს ის ძირითადი მიზეზებია, რის გამოც გადაწყდა ახალი ორგანიზაციის შექმნა. საინიციატივო ჯგუფის წევრებისთვის მიუღებელია დღეს არსებული მექანიზმი, რითაც ხდება განსაზღვრა, თუ სად, როდის და რამდენჯერ გაჟღერდა კონკრეტული სიმღერა. მათ დღემდე არ იციან, როგორ ხდება თანხების დათვლა და განაწილება.

დამფუძნებლები გვპირდებიან, რომ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების უფლებების დაცვა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათი თქმით, სპეციალური მოწყობილობა გააკონტროლებს, რომელი სიმღერა, სად და როდის შესრულდა და სწორედ ამის შემდეგ მოხდება ფინანსების ზუსტი გადანაწილება მომღერლებისთვის, კომპოზიტორებისთვის, არანჟირებისა და ტექსტის ავტორებისთვის. ცნობილი გახდა, რომ არსებულმა საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციამ უარი განაცხადა IP ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

მომღერალი და კომპოზიტორი **დავით ხუჯაძე** საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელია. მას სურს, რომ თანხების განაწილების პროცესი იყოს უფრო გამჭვირვალე, ამისათვის კი მისი აზრით, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება საუკეთესო საშუალებაა, რაზეც უკვე არსებულმა ორგანიზაციამ გაურკვეველი მიზეზით უარი განცხადა.

„საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაცია ისედაც არსებობს, თუმცა ჩვენთვის მიუღებელია ის ფაქტი, თუ როგორ ხდება თანხების დადგენა. ყოველი სამი თვის შემდეგ, ჩვენს ანგარიშზე გარკვეული ოდენობის თანხა ირიცხება, მაგრამ, არავინ იცის, საიდან. ყოველ წელიწადს ორგანიზაციაში შესული თანხის რაოდენობა კი იზრდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არც მომღერლებზე და არც მუსიკოსების შემოსავალზე არ აისახება. უკვე არსებული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ახალი, IP ტექნოლოგიების გამოყენებაზე. ქართველ ხელოვანთა ინტერესებს ვერ იცავენ ისრაელში, რუსეთში, საფრანგეთში, ამერიკაში და სხვა მრავალ ქვეყანაში, სადაც ჩვენს შემოქმედებას იცნობენ. ამ ქვეყნებიდან არ ხდება იმ თანხების გამოგზავნა, რაც ნამდვილად გვეკუთვნის. ხშირ შემთხვევაში ისეც ხდება, რომ თანხები იკარგება. ჩვენ გვინდა, ყველაფერი იყოს ღია და ყველამ ნახოს, საიდან, რა რაოდენობის თანხა გადმოირიცხა. სიმღერების ატვირთვა მოხდება სერვერზე და თუ სადმე რომელიმე სიმღერა გაჟღერდება, კონკრეტული მოწყობილობა მას ამოიცნობს და გადააგზავნის სიგნალს სერვერზე იმის შესახებ, რომ ამა და ამ საათზე, ამ ადგილას შესრულდა ეს სიმღერა და, რა თქმა უნდა, ამ სიმღერის შემსრულებელს შესაბამისი თანხა გადაერიცხება“, — განაცხადა **დავით ხუჯაძემ**.

საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციის დამფუძნებელია მომღერალი **აჩი ფურცელაძეც**. ის იმედოვნებს, რომ ამ ორგანიზაციის წყალობით, ყველა ქართველი ხელოვნის საავტორო უფლებები დაცული იქნება.

„ჩემი კოლეგებისგან ვიცი, რომ ყოველთვე სხვადასხვა რაოდენობის თანხა ერიცხებათ. ვფიქრობ, რომ არ ხდება ამ ფინანსების ხარისხიანი მონიტორინგი, რადგან არავინ იცის, რა პრინციპით ხდება ფულის გაყოფა შემსრულებელს, კომპოზიტორს, არანჟირების ავტორსა და ტექსტის ავტორს შორის. ეს ორგანიზაცია მუსიკოსებისგან უნდა შედგებოდეს და არა ისეთი ადამიანებისგან, რომლებიც მხოლოდ ფულის გაკეთების საშუალებად გამოიყენებენ მას! დარწმუნებული ვარ, საავტორო უფლებები აღარ დაირღვევა. ამას უზრუნველყოფს ახლადდაფუძნებული ორგანიზაცია. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა როგორც რუსეთიდან, ისე ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან მოვიძიოთ ინფორმაცია ქართული სიმღერების გაჟღერების შესახებ. მოკლედ, ჩვენი ორგანიზაციის საშუალებით ის ფული, რომელიც საქართველოზეა გამოწერილი, საჭიროებისამებრ გადანაწილდება“, — აღნიშნა აჩი ფურცელაძემ.

დამფუძნებელთა რიგებშია მომღერალი **ზურა ხაჩიძეც**. ბრიფინგზე მან ისაუბრა ორგანიზაციის უპირატესობებზე და აღნიშნა, რომ საქართველოში მუსიკოსის პროფესია დაუფასებელია.

„ეს არის ის ორგანო, რომელიც გააკონტროლებს შემოქმედი ადამიანების სიმღერების გაჟღერების რაოდენობას. რაც მთავარია, მუსიკოსები, ტექსტის ავტორები და კომპოზიტორები მიიღებენ იმ ანაზღაურებას, რაც მათ ნამდვილად ეკუთვნით. მე ხშირად დამისვამს ორგანიზაციისათვის კითხვა, თუ რატომ მერიცხება ამა თუ იმ ოდენობის თანხა, მაგრამ კობალაძის კომპანიისგან პასუხი, სამწუხაროდ, არასდროს მიმიღია! არავინაა ვალდებული, უკვე არსებული საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციიდან წამოვიდეს. ახალი ორგანიზიციის წევრობა ნებაყოფლობითია. მინდა, ვიცოდე, ჩემს მუსიკას სად უკრავენ და რაში ვიღებ შემოსავალს, ან კიდევ რატომ ვერ ვიღებ მაშინ, როდესაც მას ხშირად უკრავენ სხვადასხვა რესტორანსა თუ კლუბებში. დღევანდელ საქართველოში, სამწუხაროდ, მუსიკოსის პროფესია არაა დაფასებული“, — განაცხადა **ზურა ხაჩიძემ**.

კომპოზიტორი **ჯემალ სეფიაშვილი** მხარს უჭერს ორგანიზაციის შექმნას. ის აცხადებს, რომ ამ ორგანიზაციაში გაწევრების შემდეგ ხელოვანთა ბიუჯეტის გაუმჯობესება მოხდება.

„ძალიან მიხარია, რომ ნელ-ნელა შემოქმედ ხალხს პატრონები გვიჩნდება! ამჯერად, საუბარია ჩვენს საავტორო უფლებებზე და ჩვენი შრომის სათანადო ანაზღაურებაზე. საზღვარგარეთ ბევრი შემოქმედი ძალიან კარგად ცხოვრობს ამ შემოსავლებით. მე გაწევრებული ვარ უკვე არსებულ საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციაში, თუმცა იმ ორგანიზაციაში, რომელსაც ჩვენ დღეს ვაფუძნებთ, აზრები გაცილებით უფრო თანამედროვეა. მომწონს ის იდეები, რასაც ეს ორგანიზაცია გვამცნობს. ამასთან ერთად, ისინი არავის აძალებენ უკვე არსებული ორგანიზაციის დატოვებას და ეუბნებიან, რომ მათი გადასაწყვეტია, თუ როგორ მოიქცევიან. ეს ასოციაცია აუცილებლად უნდა იყოს ისეთი, სადაც ნებისმიერი შემოქმედი სიხარულით მივა და გაიუმჯობესებს თავის ბიუჯეტს“, — აღნიშნა ჯემალ სეფიაშვილმა.

შეხვედრას ესწრებოდნენ კულტურის სფეროს წარმომადგენლები, მათ შორის პოეტი **ნანა ცინცაძეც**. მისთვის საგულისყურო აღმოჩნდა საკითხი, რომელიც უცხოეთში ქართველი შემსრულებლების უფლებების დაცვას ეხება.

„ვარ მოსული ჩემთვის ძალიან საგულისყურო თემაზე, პირველ რიგში, იმიტომ დავინტერესდი ამ შეკრებით, რომ რუსეთში უამრავი ჩემი სიმღერა სრულდება. გელა გურალიას ყველა ქართულენოვანი სიმღერა არის შექმნილი ჩემს ლექსებზე და გარდა გელასი, ამ სიმღერებს სხვა მომღერლებიც ასრულებენ. ჩემთვის, როგორც ავტორისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა ხდება საქართველოს ფარგლებს გარეთ. ყურადღებით მოვისმინე დღევანდელ შეკრებაზე გამოთქმული მოსაზრებები. მივესალმები ამ წამოწყებას და ვულოცავ დამფუძნებლებს საავტორო უფლებების დაცვის ახალი ორგანიზაციის შექმნას“, — აღნიშნა ნანა ცინცაძემ.

დამფუძნებლების განმარტებით, საავტორო უფლებების მქონე ნებისმიერ ადამიანს თავისუფლად შეუძლია გაწევრდეს ახალ, არასამთავრობო და არაკომერციულ ორგანიზაციაში...

კენიელი პიტერ ტაბიჩი - მსოფლიოს საუკეთესო მასწავლებელი

მასწავლებლის საუკეთესო ჯილდოს მფლობელი 2019 წლის დაჯილდოებაზე კენიელი მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებელი პიტერ ტაბიჩი გახდა.

ფინალისტების ათეულში იმყოფებოდა ქართველი მასწავლებელი ლადო აფხაზავა.

ლადო აფხაზავამ დაჯილდოების შემდეგ დაწერა: **„ვულოცავ პიტერ ტაბიჩის 2019 მასწავლებლის გლობალური ჯილდოს მიღებას. ის ნამდვილად გამორჩეული მასწავლებელი და პიროვნებაა და დღეს მისი გამოცდილება და სიტყვა ყველაზე მეტად სჭირდება სამყაროს“.**

ვინ არის პიტერ ტაბიჩი და რა დამსახურებისთვის გადაეცა მას საუკეთესო მასწავლებლის ჯილდო?

პიტერისთვის მასწავლებლობა მემკვიდრეობით მიღებული პროფესიაა. მასწავლებელი იყო მისი მამაც. ის ასწავლის სოფელ პვანის სკოლაში, კენიის ცენტრისგან მოშორებულ ღარიბ რეგიონში, სადაც გვალვა და შიმშილობა ჩვეულებრივი ამბავია. მისი მოსწავლეებიდან თითქმის ყოველი მესამე ობოლია, ბევრ მათგანს კი სახლში საჭმელი არ აქვს. ბავშვებს სკოლაში მისასვლელად კილომეტრების ფეხით გავლა უწევთ გზაზე, რომელიც წვიმიანობისას გაუვალი ხდება.

ნარკოტიკების მოხმარება, არასრულწლოვანთა ფეხმძიმობა და ქორწინება, სკოლის მიტოვება ადრეულ ასაკში და თვითმკვლელობები — ამ რეგიონში ხშირად ხდება. სკოლაში, სადაც პიტერი ასწავლის, 58 მოსწავლე, ერთი კომპიუტერი, ერთი მასწავლებელი და ცუდი ინტერნეტია.

პიტერი მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებელია. ის თავისი ყოველთვიური შემოსავლის 80% ღარიბების დასახმარებლად ხარჯავს, დასვენების დღეებში კი დამატებით გაკვეთილებს უტარებს ბავშვებს.

პიტერმა სკოლაში შექმნა ტალანტებისა და სამეცნიერო კლუბები, რომელთა მიზანიც მოსწავლეების კვლევით პროექტებში ჩაბმა და მეცნიერებით დაინტერესებაა.

კენიის სამეცნიერო-ტექნიკურ ბაზრობაზე პიტერის მოსწავლეებმა წარადგინეს მათ მიერ შექმნილი მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც სმენა და მხედველობადაქვეითებულ ადამიანებს საშუალება ეძლევათ გაზომონ საგნები. პეტერის მოსწავლეებმა მიიღეს ჯილდო ქიმიკოსთა სამეფო საზოგადოებიდან, მას შემდეგ, რაც გამოიყენეს ადგილობრივი მცენარე ელექტროენერგიის მისაღებად. პიტერის სკოლის მათემატიკოსთა გუნდი მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ გამოფენაში, რომელიც წელს არიზონაში იმართება.

სამი წლის განმავლობაში სკოლაში მოსწავლეების რაოდენობა გაორმაგდა, დისციპლინის დარღვევის შემთხვევები კვირაში 30-დან სამამდე შემცირდა.

2017 წელს 59 მოსწავლიდან მხოლოდ 16-მა მოახერხა სწავლის კოლეჯში გაგრძელება, ეს ციფრი 2018 წელს გაიზარდა. გასულ წელს პიტერის 26 მოსწავლე გადავიდა უნივერსტეტსა და კოლეჯში.

მასწავლებლის ჯილდოს მიზანი პროფესიის პოპულარიზაცია და ისეთი მასწავლებლების აღმოჩენაა, რომლებიც განსაკუთრებული ძალისხმევის ფასად გადასცემენ ცოდნას ბავშვებს. ამ ჯილდოს გამარჯვებული იღებს მილიონ დოლარს. დაჯილდოება ყოველ წელს ტარდება. ქართველი მასწავლებელი დაჯილდოებაში პირველად მონაწილეობდა.

ნასტასია არაბული

„დროს არ ჰყვარს, როცა ფუჭად ხარჯავენ“



ᲐᲡᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲰᲔᲜᲠᲘ ᲤᲝᲠᲓᲘ

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲖᲔ

ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ წარუმატებლობა სულაც სამარცხვინო არ არის.

* * *

ᲠᲝᲪᲐ გეჩვენება, რომ მთელი ქვეყნიერება შენი წინააღმდეგია, არ იგულმავიწყო, თვითმფრინავი რომ ქარის წინააღმდეგ ფრინდება.

* * *

ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ხარ თუ ღარიბი, შენც იმდენივე საზრდო გჭირდება, რათა დანაყრდე, და იმდენივე ტანსაცმელი, რათა გათბე.

* * *

ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡ მიმღები თავს დამცირებულად გრძნობს.

* * *

ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲐᲪ არ მოსწონს, მდგომარეობა რომ აიძულებს მოწყალებისთვის ხელის გაშვერას.

* * *

ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ იმისგან თრობა, რომ უფლებამოსილი ხარ და არც არავინ არ გიშლის საზოგადოებრივი სისტემის კრიტიკას, რისი უფლებაც ყველა ადამიანს აქვს – იმას იწვევს, რასაც ჩვეულებრივ იწვევს ყოველნაირი თრობა: წონასწორობას კარგავ.

* * *

ᲬᲘᲜ მოძრაობა იწყება მცირედიდან და რომელიმე პიროვნებიდან.

* * *

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ იფიტებიან თავიანთი გამარჯვებებით, დამარცხებულნი კი თავიანთი წინააღმდეგობებით. არც ვინ არცრას არ გამორჩენია ომს – არც საპატიოს, არც სამარცხვინოს.

* * *

ᲡᲔᲡᲮᲘ იოლად ხდება ზარალის შეუმჩნევლობის საბაბი.

* * *

ᲡᲘᲡᲣᲚᲔᲚᲔᲐ იმის ვარაუდი, რომ ყველაფერს თუ თავდაყირა დავაყენებთ, თითოეულს დღეში სამჯერ ჭამა შეეძლება. ასევე სისულელეა იმის ფიქრი, რომ ყოველივე თუ გაიყინა, კაპიტალიდან ძველებურად მიიღებ შემოსავლის შენს ექვს პროცენტს. მთავარი პრობლემა ის არის, რომ რეფორმატორნიც და რეაქციონერიც გაურბიან რეალობას – პირველად ფუნქციებს.

* * *

ᲐᲮᲐᲚ ფასს თავისთავად გასავლის შემცირებასთან მივყავართ.

* * *

ᲘᲥᲜᲔᲑ მუშის ხარჯი, რომელსაც ის საკუთარი თავის სარჩენად ეწევა, უნდა აღირიცხოს როგორც „გასავალი“, ხოლო სახლისა და ოჯახის შესანახად მუშაობა – როგორც „მოგება“ ან „შემოსავალი“.

* * *

ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐს არ სჭირდება ადამიანის მსხვერპლი.

* * *

ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ სამყაროს დანგრევა შესაძლებელია, მაგრამ შეუძლებელია ახალი სამყაროს აშენება. სამყაროსთვის წინსვლის ნების მიუცემლობა შესაძლებელია, მაგრამ შეუძლებელია სამყაროს უკან, სრული დაცემა-დაკნინებისკენ მოძრაობისთვის ხელის შეშლა.

* * *

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ მეცადინეობისა თუ საქმიანობის გაერთიანება არამარტო მატერიალური თვალსაზრისით არის მომგებიანი – ის საშუალებას გვაძლევს, რომ სააზროვნო თვალსაწიერი გავიფართოოთ და უფრო სწორად განვსაჯოთ ჩვენი ახლობელნი.

* * *

ᲪᲣᲓᲘ კონკურენცია მუდამ პირად მიზნებსა და პირად საზრუნავს ემსახურება. ის მომართულია მავან ინდივიდუუმთა ანდა ჯგუფთა ასამაღლებლად. ეს თავისებური სამხედრო მოქმედებაა, ვისიმე „განადგურების“ სწრაფვით შთაგონებული. ასეთი კონკურენცია სავსებით ეგოისტურია. პირდაპირ ვთქვათ, რომ იმას ამოქმედებს არა წარმოებული პროდუქციის გამო სიამაყე, არა მსახურებაში წარმატების სურვილი და არც კიდევ წარმოების მეცნიერულ მეთოდთა წვდომის დაუოკებელი სწრაფვა, რასაც ამოქმედებს იმისი პრიმიტიული სურვილი, რომ სხვები განდევნოს და მოახდინოს ბაზრის მონოპოლიზება ფულის გამორჩენის გულისთვის, და როცა ასეთი მიზანი მიღწეულია, აუცილებლივ ბევრად უფრო დაბალი ხარისხის პროდუქტს ვიღებთ.

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №52-59

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ... ᲡᲐᲤᲣᲚᲔ

***ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ** ფულით ყიდვა ნამდვილად შეუძლებელია, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ავადმყოფობის დამძლევ სამკურნალო საშუალებათა შეძენა, მით უმეტეს, როცა სხვებზე ეფექტიანია, ძალიან ძვირი ღირს, თანაც სამკურნალო საშუალებების ფასი ჩვენში განუხრელად მატულობს, რასაც ჯერჯერობით ქმედითად არავინ ებრძვის. ამდენად, წამლების ყიდვისას უმეტესობა ჩვენგანი სახსრების მაქსიმალურად დაზოგვას ცდილობს. ამის გაკეთება, სამწუხაროდ, ბევრს ხშირად უწევს, ამდენად, თუკი მედიკამენტების შეძენისას ქვემოთ მოყვანილ რჩევებს გაითვალისწინებთ, ვფიქრობთ, ეს თქვენს ჯიბესაც წაადგება და, რაც მთავარია, ჯანმრთელობასაც. მთავარი მიზანი ხომ მისი დაცვაა და არა ფულის დაზოგვა!*

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲠᲩᲔᲕᲐ

ᲡᲐᲘᲛᲘᲡᲝᲓ, რომ წამლების შეძენისას ფული დაზოგოთ, სულაც არ არის საჭირო სხვადასხვა სააფთიაქო ქსელში ფასების შედარება, საამისოდ სხვა ხერხებიც არსებობს.

1. თუკი იშვიათად ავადმყოფობთ და წამლებს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში იღებთ, უმჯობესია, ისინი პატარ-პატარა შეფუთვებით შეიძინოთ – წამლების ვარგისიანობის ვადა შეზღუდულია. ვადაგასული წამლების გადაგდება ფულის ტყუილად განიავებას უდრის, ხოლო თუკი წამლებს რეგულარულად იღებთ, მაშინ უმჯობესია დიდი შეფუთვების შერჩევა. ამ შემთხვევაში თითოეული აბის ფასი ნაკლები იქნება.

2. საცხების ან გელების სახით წამლების შეძენა მცირე ზომის ტუბებითაა უმჯობესი: გახსნის შემდეგ ისინი მალევე ფუჭდება.

3. წამლების შეძენისას დააკვირდით მის ვადას, უმჯობესია უფრო ახალგამოშვებული პრეპარატების შეძენა.

4. თვალყური ადევნეთ აფთიაქებში აქციებსა და შეღავათებს – ამ გზით შეიძლება გარკვეული სახსრების დაზოგვა.

5. გამოკითხეთ ექიმი ან პროვიზორი არჩეული პრეპარატის იაფიანი ანალოგების შესახებ. წამლების კოპიოები (ჯენერიკები) იგივე ნივთიერებას შეიცავენ, რაც ორიგინალური პრეპარატები, ამასთან, ხშირად გაცილებით იაფი ღირს.

6. რეგულარულად ჩაუტარეთ რევიზია საოჯახო აფთიაქს, ხშირად ხდება, რომ წამალი ჯერ კიდევ გაქვთ, თქვენ ახალს იძენთ, შედეგად კი შეიძლება მოხმარების ვადა ორივეს გაუვიდეს.

7. ზედმეტს ნუ იყიდით. ხშირია შემთხვევა, როცა პროვიზორები დამატებით პრეპარატებს გვთავაზობენ, რომელთაც მკურნალობის პროცესის დაჩქარება შეუძლიათ. ვიდრე მათ დაეთანხმებოდეთ, უმჯობესია, კონსულტაცია ექიმთან გაიაროთ, ანდა მის შესახებ ცნობები ინტერნეტში მოიძიოთ.

ᲡᲐᲛᲘ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, გასათვალისწინებელია ეკონომიის ის მეთოდები, რომლებსაც მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია.

1. ნუ შეამცირებთ პრეპარატის დოზას. თუკი ექიმმა წამლის დღეში ორჯერ მიღება დაგინიშნათ, არ ღირს ერთჯერად მიღებაზე გადასვლა, ანდა ნახევრის დალევა. გახსოვდეთ: წამლის ეფექტურობა დოზირებაზეა დამოკიდებული!

2. ნუ შეამოკლებთ მკურნალობის კურსს, რადგან თუკი ავადმყოფობა შეგიბრუნდებათ, წამლების ხელახლა შეძენა მოგიწევთ. მაგრამ განსაკუთრებით საშიშია ანტიბიოტიკების მიღების კურსის შემცირება.

3. ნუ მიიღებთ ვადაგასულ წამლებს, თუნდაც ის ახალდასრულებული იყოს, რადგან უკეთეს შემთხვევაში მკურნალობა არაეფექტიანი იქნება, უარესში კი – სახიფათო.

ᲓᲐᲚᲘ ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ

ᲕᲐᲮᲨᲐᲛᲘ ᲙᲘ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ მეცნიერებმა გადაწყვიტეს, დაედგინათ, თუ რამდენადაა დამოკიდებული ადამიანის შინაგან საათზე – ცირკატულ რიტმებზე – ნივთიერებათა ცვლა და კალორიების ხარჯვა.

მოხალისეთა ჯგუფი იზოლირებულ, უფანჯრო ოთახში მოათავსეს, საიდანაც გარე სამყაროსთან არანაირი კავშირი არ იყო. რამდენიმე კვირის განმავლობაში გამოსაცდელებს დღის დაწყების გრაფიკს ყოველდღიურად ოთხი საათით უწევდნენ.

ექსპერიმენტის შედეგად გაირკვა, რომ ადამიანის სხეული ყველაზე მეტ კალორიას ღამე წვავს. მაგრამ კალორიების ყველაზე ინტენსიური გადამუშავება დღის მეორე ნახევარში და საღამოს ხდება.

აქედან გამომდინარე დასკვნა ასეთია: **პირველი** – დღის რეჟიმის დაცვა აუცილებელია; **მეორე** – მთავარი საკვები სადილი უნდა იყოს, რათა ორგანიზმს საკვები სწორედ იმ დროს მიეწოდოს, როცა ეს ყველაზე მეტად სჭირდება, ვახშამი კი უმჯობესია მსუბუქი იყოს.

№ 60. ოთხშაბათი, 27 მარტი, 2019 წელი.

ტერორიზმთან ბრძოლა ყველას საქმეა!

კაცობრიობისთვის 21-ე საუკუნის უსერიოზულესი გამოწვევა ტერორიზმია. კვირა ისე არ ჩაივლის, ახალმა ტერორისტულმა აქტმა მსოფლიოს ყურადღება არ მიიპყროს. თითქმის არ დარჩა კონტინენტი ტერორისტული გამოხდომის გარეშე — ზოგან მცირე, ზოგან დიდი რაოდენობის მსხვერპლით.

ტერორიზმის ისტორია ასეულობით წელს მოითვლის, მაგრამ განსაკუთრებული აქტიურობით მან თავი ჩვენს საუკუნეში იჩინა. ტერორიზმის გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაა. დასავლელი სპეციალისტების აზრით, პირველ პლანზე სოციალურ პრობლემებს ასახელებენ, რელიგიურ დაპირისპირებას, სიღარიბის სიმდიდრესთან ბრძოლას, ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, დამქირავებლის მიერ დაქირავებულის წახალისებას ტერორისტულ აქტზე და ა.შ. სწორედ ამ უკანასკნელმა მოაქცია ტერორიზმის არეალში თანამედროვე საზოგადოება — შიში მოჰგვარა მას, სიმშვიდე დააკარგვინა.

თანამედროვე ტერორიზმის აღორძინება უკავშირდება საბჭოთა შეზღუდული სამხედრო კონტინგენტის ბრძოლას ავღანეთში და მის წინააღმდეგ წამოწყებულ „პარტიზანულ“ ომს. ამ ომს თავისი შემკვეთი ჰყავდა — აშშ-ის სახით. ცნობილი ამბავია, აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ ავღანეთში მებრძოლი ოპოზიციური „თალიბანისა“ და ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ მიმართვა საბჭოთა სამხედრო კონტინგენტის წინააღმდეგ.

თუ „თალიბანის“ ჩამოყალიბებაში ამერიკის სპეცსამსახურებს ნაკლები „დამსახურება“ აქვთ, ამას ვერ ვიტყვით „ალ-ქაიდას“ მიმართ. ეს ორგანიზაცია და მისი ლიდერი უსამა ბინ ლადენი აშშ-ის სპეცსამსახურების შემოქმედებაა, რის შესახებ არაერთხელ დაიწერა და ითქვა თვით აშშ-ის პოლიტიკოსთა თუ ექსპერტთა მიერ.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ამერიკელ დამრიგებელთა გაწვრთნილი, შეიარაღებული და ხელით ნაგოგმანები ტერორისტები, პრაქტიკულ გამოცდილებასა და ადამიანთა კვლაში დახელოვნების შემდეგ, თვით მასწავლებლის წინააღმდეგ იქოჩრება და მასაც ისეთი თავდავიწყებით ებრძვის, როგორც აშშ-ის მიერ მიქსეულებს — სახელმწიფო იქნება ეს თუ პოლიტიკური ფიგურა. მარტო აშშ-ზე განხორციელებული შემზარავი ტერორისტული აქტი რად ღირს?!

მასწავლებლის წინააღმდეგ ამხედრებული ტერორისტული ორგანიზაციების მიმართ დამრიგებლის შეგონებები აღარ ჭრის, რის შემდეგაც თვით დამრიგებელი უცხადებს ომს თავის „პირმშოს“. გაიხსენეთ აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული საიდუმლო ოპერაცია „ალ-ქაიდას“ მეთაურის უსამა ბინ ლადენის წინააღმდეგ, რომელსაც თვალს ადევნებდნენ აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტი ობამა, ადმინისტრაციის სხვა წევრები. ის ოპერაცია ვაშინგტონმა წარმატებით განახორციელა, თუმცა შესაბამისი დასკვნები არ გამოუტანია.

ისევ ახალი ტერორისტების მოძებნა, ისევ მათი წვრთნა და სათავეში ამერიკული ციხიდან გამოშვებული ალ ბაღდადის ჩაყენება. გათავისუფლებიდან თითზე ჩამოსათვლელ დღეებში ალ ბაღდადიმ ახალი ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ შექმნა, საჯაროდ დააანონსა და მიზნებიც გამოაცხადა — უწმინდურთაგან სირიის, ერაყის, ახლო აღმოსავლეთის, სხვა ქვეყნების გათავისუფლება.

რა იყო აშშ-ის პრეზიდენტის ობამას ადმინისტრაციის მიზანი?

უპირველეს ყოვლისა, სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის ხელისუფლების დამხობა, სირია-ერაყში ისლამური სახელმწიფოების ჩამოყალიბება, „ისლამური სახელმწიფოს“ უკიდურესად რადიკალური წევრების მმართველობიდან ჩამოშორება და დროთა ვითარებაში „ისლამური სახელმწიფოს“ შერბილებული მმართველობის დაწესება სირიაში, შემდეგ სხვაგან.

„ისლამური სახელმწიფო“ იყო ის ტერორისტული ორგანიზაცია, რომელმაც სხვა ტერორისტული ორგანიზაციებისგან განსხვავებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სახელმწიფოს მსგავსი მმართველობა შემოიღო. „ისლამურ სახელმწიფოში“ 80-ზე მეტი ქვეყნის ტერორისტი იყო გაერთიანებული, მათ შორის ტერორისტები პანკისის ხეობიდან, აჭარიდან. მათ სირიის ტერიტორიის 80% ეკავათ და სირიის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, სხვა ქვეყნების „მიხედვასაც“ აპირებდნენ. სწორედ ამ დროს, სირიის ხელისუფლების თხოვნით, პროცესში რუსეთი ჩაერთო. შედეგი ყველასთვის ცნობილია. რუსეთმა, ირანმა, თურქეთმა, განსაკუთრებით რუსეთმა, საჰაერო იერიშებით გაანადგურეს „ისლამური სახელმწიფო“ და გადარჩენილი ტერორისტები აიძულეს, გასცლოდნენ სირიას.

„ისლამურ სახელმწიფოში“ 80-ზე მეტი ქვეყნის ტერორისტი იყო გაერთიანებული, მათ შორის ტერორისტები პანკისის ხეობიდან, აჭარიდან. მათ სირიის ტერიტორიის 80% ეკავათ და სირიის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, სხვა ქვეყნების „მიხედვასაც“ აპირებდნენ.

რატომ ვერ შეძლო აშშ-მა და მის მიერ შექმნილმა კოალიციამ სირიაში მებრძოლი ტერორისტების განადგურება?

აშშ-მა, რუსეთის, სირიის ომში ჩართვამდე დაიწყო ტერორისტების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები, თუმცა უშედეგოდ. იბადება კითხვა — ნუთუ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სამხედრო ძალების მქონე სახელმწიფოს გაუჭირდა ტერორისტებთან ომი?

საქმე შემდეგშია — აშშ-ს არც უფიქრია „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურება. მისი სურვილი იყო სირიაში მოკალათებული სხვა ტერორისტულ, ანუ რადიკალურ ძალებთან ომი და არა „ლოიალურ“ ტერორისტებთან, რომლებსაც ჰქონდათ, აქვთ და ექნებათ აშშ-ის სპეცსამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობა და არა მარტო აშშ-ის, არამედ კოალიციაში შემავალ 50-ზე მეტ ქვეყანასთან, რასაც მოწმობს ის სამხედრო მძიმე ტექნიკა, რომელიც აშშ-ში, ევროპის ქვეყნებშია დამზადებული და გადაცემული ტერორისტებისთვის.

ის, რომ აშშ-ი და მის მიერ შექმნილი კოალიცია მხოლოდ სიტყვით და არა საქმით იბრძვის სირიაში ტერორიზმის წინააღმდეგ, ფაქტია. გარდა ამისა, ნათელი მაგალითია ტერორიზმის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებაც.

სირიაში ტერორისტები ხელისუფლების წინააღმდეგ აამუშავეს და რომ არა რუსეთ-ირანის მედგარი ბრძოლა, მსოფლიო „ისლამური სახელმწიფოს“ სახით მიიღებდა ტერორისტებით გაჯერებულ ქვეყანას, რომელიც მისი ლიდერის ალ ბაღდადის პირით აცხადებდა გავლენის სფეროს არა მარტო ახლო აღმოსავლეთში გაფართოებას, არამედ რუსეთის სამხრეთში, კავკასიაში, ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ირანში და ა.შ.

სირიაში „ისლამური სახელმწიფო“ დამარცხდა, თუმცა მთლიანობაში ტერორიზმი ისევ ყვავის. ალ ბაღდადის მოწოდებით „ისლამური სახელმწიფოს“ მეომრები სამშობლოს უნდა დაუბრუნდნენ, შეძლებისდაგვარად დაიწყონ „მშვიდი“ ცხოვრება და ნებისმიერ მოწოდებაზე გააკეთონ სწრაფი რეაგირება — ტერაქტების სახით.

სირია-ერაყიდან წასულმა ტერორისტებმა თავი აბურდულ ლიბიას შეაფარეს, სადაც აშშ-ის და ნატოს წყალობით ნოყიერი ნიადაგია შექმნილი ტერორიზმისთვის. ნაწილი ტერორისტებისა ავღანეთში გადაბარგდა, სადაც ასევე აშშ-ის წყალობით ხანგრძლივი, მრავალწლიანი ომია გაჩაღებული. ტერორისტების ნაწილმა უკრაინას მიაშურა და უკრაინელ ფაშისტებთან ერთად დონბასში ახორციელებს ტერორისტულ აქტებს.

ჩვენთვის უკვე ცნობილმა ავსტრალიელმა ტერორისტმა, რომელმაც ახალი ზელანდიის ქალაქ ქრაისთ ჩერჩში 50 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, საბრძოლო წრთობა დონბასში ქართულ ლეგიონში გაიარა.

ტერორიზმი კარგა ხანია, ინტერნაციონალურია და რაც დრო გადის, ახალ-ახალ კადრებს იზიდავს სხვადასხვა ქვეყნიდან.

სულ ახლახან რუსეთის პრეზიდენტთან არსებული ეროვნებათაშორისი საბჭოს წევრმა ისმაილ შაბანოვმა პრესას განუცხადა, რომ რუსეთი და ირანი მზად უნდა იყვნენ კავკასიაში მოვლენათა ნეგატიურად განვითარებისთვის. მან მოუწოდა საზოგადოებას, ყურადღება მიაქციოს ირანის პრეზიდენტის როუჰანის განცხადებას: „ტერორისტებს შეუძლიათ პრობლემები შეუქმნან რეგიონის მოსახლეობას, ვინაიდან აშშ-მა შეცვალა საკუთარი გეგმები. ახლა მას ტერორისტები ავღანეთში, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში გადაჰყავს“.

შაბანოვი არ გამორიცხავს ტერორისტების ჩართვას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში, აზერბაიჯანის მხარეს, რაც ხელს შეუწყობს ტერორიზმის ფართო გავრცელებას ამ ქვეყანაში.

ცნობილი ფაქტია, რომ დაღესტანსა და აზერბაიჯანის მთიან სოფლებში არსებობს „მიძინებული“ ტერორისტული ჯგუფები. მათ შეუძლიათ ჩრდილო კავკასიასა და ირანში გადასვლა და დესტაბილიზაციის გამოწვევა. მხედველობაშია მისაღები პანკისის ხეობაც — სწორედ აქედან წავიდა სირიაში, „ისლამურ სახელმწიფოში“ 200 „ბოევიკი“. პანკისი ისევ შეიძლება გამოიყენონ ბაზად, საიდანაც ტერორისტები გაიგზავნებიან დაღესტანში, აზერბაიჯანში, ირანში.

„როდესაც მექანიზმი ამუშავდება, დესტრუქციული ძალები ხანძარს გააჩენენ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. სახელმწიფო, რომელიც ხელს შეუწყობს ან თვალს დახუჭავს ტერორისტთა ქმედებაზე, სახელმწიფოებრიობის დაკარგვის წინაშე აღმოჩნდება“, — განაცხადა შაბანოვმა.

ძნელია იმის დადგენა — რა ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთა შაბანოვმა ეს განცხადება, მაგრამ უდავოდ დასაფიქრებელია. რომ იტყვიან — „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“-დან გამომდინარე საქართველოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან ყურადღებაა გასამახვილებელი.

ტერორიზმთან ბრძოლა ყველას საქმეა, ვინაიდან მან არ იცის დანდობა — არც რელიგიური, არც გენდერული, არც ეროვნული და არც უმცროს-უფროსობის თვალსაზრისით. მასთან გაერთიანებული ბრძოლაა საჭირო და არა ისეთი, ზოგიერთი ქვეყანა რომ აწარმოებს საკუთარი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე.

ახალი ზელანდიის ტერორისტული აქტი ნაციონალურ-რელიგიურ საფუძველს ეყრდნობა, გარდა ამისა, ნეოფაშისტურს, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ამერიკა-ევროპა თვალს ხუჭავს ევროპაში, განსაკუთრებით ბალტიისპირა ქვეყნებსა და უკრაინაში ფაშიზმის აღორძინებაზე. ვაშინგტონ-ბრიუსელის აზრით თუ ნეოფაშიზმი მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ — სრულიად დასაშვებია ნეოფაშისტური აქტიურობა.

თანამედროვე ევროპა პარალელებს ავლებს ფაშიზმსა და კომუნიზმს შორის და ლამის ერთ სიბრტყეში განიხილავს, ივიწყებს რა ფაშიზმის დამმარცხებლის უდიდეს წვლილს ყავისფერი ჭირისგან მსოფლიოს გადარჩენაში.

ბალტიისპირა ქვეყნებსა და უკრაინაში ტრადიციად იქცა ფაშისტების, ბანდერელების ჩირაღდნიანი მარშები. ფაშისტებს ამ ქვეყნებში გმირებად მიიჩნევენ, ხოლო მათ დამმარცხებელ საბჭოთა არმიის ვეტერან მეომრებს — დამნაშავეებად.

უკრაინის კანონმდებლობით — ფაშიზმი აღორძინებულია, თუმცა მას სხვა სახელი — ეროვნულ-განმათავისუფლებელი ჰქვია. ქვეყნის ეროვნულ გმირად არის გამოცხადებული ბანდერა — გერმანიის ფაშიზმთან მჭიდრო თანამშრომლობაში მყოფი. ბანდერას, შუხევიჩის, სხვების ხელებზე პოლონელი, ებრაელი, რუსი, უკრაინელი ადამიანების სისხლია. თუმცა ამას არც აშშ-ში და არც ევროპაში ყურადღებას არვინ აქცევს.

ევროპელთა პოლიტიკა წყლის წვეთებივით ჰგავს გასული საუკუნის 30-40-იანი წლებისას. მაშინ „დემოკრატიულმა“ ევროპამ მეგობრული თვალით შეხედა იტალიურ-გერმანულ ფაშიზმს. პოლონეთმა პირველმა დადო ჰიტლერულ გერმანიასთან ხელშეკრულება, ხოლო საფრანგეთ-ინგლისმა, სხვებმა არაფრად ჩააგდეს ფაშისტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განადგურება და ანექსია. ისინი ფაშიზმს მტრად არ მიიჩნევდნენ. მათთვის მტერი საბჭოთა კავშირი იყო. თუ რით დამთავრდა ევროპელთა მხრიდან ჰიტლერული გერმანიის მოქმედების უგულებელყოფა, ცნობილია.

ისტორიის მწარე მაგალითები მეორდება. ფაშიზმმა კვლავ წამოყო თავი, თუმცა არავითარი რეაქცია არ ჩანს ამ პროცესის წინააღმდეგ. და როდესაც შეგნებულ დაუნახაობასთან გვაქვს საქმე, ახალი ზელანდიის ტერორისტულმა აქტმა არ უნდა გაგვაკვირვოს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ევრო – 2021

შესანიშნავი შვიდეული

ფიბა-ევროპამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კონტინენტის 2021 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის შესახებ განაცხადი 7-მა ქვეყანამ შეიტანა. მათგან ერთ-ერთი საქართველოა, რაც ჩვენმა სპორტულმა საზოგადოებამ 5 დღის წინათ ფედერაციის პრეზიდენტ პაატა გურასპაულისგან შეიტყო.

გუშინ ფიბა-ევროპის ოფიციალური ინფორმაციიდან იმ დანარჩენი 6 კანდიდატის ვინაობაც გაირკვა, რომლებმაც კონტინენტის პირველობის სამასპინძლოდ განაცხადი შეიტანეს.

ესენია **ჩეხეთი, ესტონეთი, გერმანია, უნგრეთი, იტალია და სლოვენია**. მათგან ფიბა-ევროპის ბორდი მიმდინარე წლის ივლისში იმ 4-ს შეარჩევს, რომლებიც 2021 წლის შემოდგომაზე ძველი სამყაროს ჩემპიონატის ჯგუფებს მიიღებენ, მანამდე კი ფიბა-ევროპა შეისწავლის თითოეული პრეტენდენტის საკალათბურთო პოტენციალს და გადაწყვეტილების მიღების წინ ნათელ სურათს წარუდგენს ბორდის წევრებს.

კონტინენტის ჩემპიონატის ზიარად მოწყობა უკვე კარგად აპრობირებული პრაქტიკაა ევროპაში. 2015 და 2017 წლების ფორუმებს 4-4-მა ქვეყანამ უმასპინძლა და საყოველთაო მოწონებაც დაიმსახურა. ევროპის 2021 წლის ჩემპიონატის გაძღოლის წინასწარი სურვილი შარშან იანვარში 13-მა ქვეყანამ გამოთქვა, თუმცა, მოთხოვნების დაკმაყოფილება და განაცხადის ოფიციალურად წარდგენა მხოლოდ 7-მა მათგანმა შეძლო.

კამილ ნოვაკი, ფიბა-ევროპის აღმასრულებელი დირექტორი: **„ეროვნული ფედერაციების მხრიდან ასეთი აქტივურობა იმას მოწმობს, რომ ევრობასკეტის მასპინძლობის სურვილი უპრეცედენტოდ მაღალია. გვჯერა, რომ წარმოდგენილი კანდიდატებიდან ჩვენ შევარჩევთ 4 იდეალურ ორგანიზატორს, როგორც ეს გავაკეთეთ გასული 2 ევრობასკეტის შემთხვევაში.**

თუკი ფიბა-ევროპის ბორდი საქართველოს თანამასპინძლად შეარჩევს, თბილისში 2021 წლის შემოდგომაზე ევრობასკეტის 5 მონაწილე შეიკრიბება, რომლებსაც საქართველო დაემატება და ჩატარდება ფინალური ეტაპის ერთ-ერთი ჯგუფის თამაშები. აღნიშნული ექვსეულიდან 4 საუკეთესო პლეი-ოფში გავა, რომლის შეხვედრებიც 4 მასპინძელი ქვეყნიდან ერთ-ერთში გაიმართება.

ევრობასკეტის მასპინძელი 4 ქვეყნის ნაკრები საკვალიფიკაციო მატჩებს არ ითამაშებს და ფინალურ ეტაპზე პირდაპირ დაიშვება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ექსტრიმი

სანდრო თავართქილაძემ გამარჯვებით დაიწყო

საძართველოს სამგზის ჩემპიონმა ფორმულა „ალფას“ კლასში სანდრო თავართქილაძემ აზიის ფორმულა „რენოს“ ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყო. ქართველმა მრბოლმა, რომელიც ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ „ბლექ არტს რეისინგთან“ ერთად გამოდის, პირველი ეტაპის მეორე რბოლა მოიგო, რომელსაც ჟუჰაის საერთაშორისო ტრეკმა უმასპინძლა. პრაქტიკებიც, კვალიფიკაციაც და რბოლებიც წვიმის აკომპანიმენტით ჩატარდა, რაც თავართქილაძისთვის სერიოზულ გამოწვევად იქცა – 19 წლის ქართველს ასეთ რთულ კლიმატურ პირობებში ადრე არასდროს უასპარეზია და უნდა ითქვას, რომ ის ყველა სირთულეს შესანიშნავად გაუმკლავდა.

თქეშში სანდრომ კვალიფიკაცია მეექვსე ადგილზე დაასრულა. ამინდი არც პირველი რბოლის დროს შეცვლილა. სტარტზე შეფერხების მიუხედავად, მან უშეცდომოდ ჩაატარა რბოლა, ფინიშამდე სამი კონკურენტი ჩამოიტოვა და მეხუთე ადგილი დაიკავა, მაგრამ იმის გამო, რომ წინ გასულთაგან ერთ-ერთმა მეტოქემ სტარტზე მანქანა ადრე დაძრა, ის წუთით დააჯარიმეს და თავართქილაძემ საბოლოოდ, მეოთხეზე გადაინაცვლა.

მეორე რბოლა მშრალ ტრასაზე გაიმართა. სანდრომ სტარტზევე შეძლო რამდენიმე კოლეგის ჩამოტოვება და ფინიშთან მეორე მივიდა. პირველი ადგილი მისმა ჰოლანდიელმა თანაგუნდელმა ჯოი ალდერსმა დაიკავა, ვინც ფორმულა „რენოს“ ფორმულა 3-დან დაუბრუნდა, მაგრამ მსაჯებმა მასაც ადრეული სტარტი დაუფიქსირეს და ერთი წუთით დასაჯეს. ასე რომ, საბოლოოდ გამარჯვება თავართქილაძეს დარჩა.

ჩემპიონატის მეორე ეტაპს ჩინეთის ნინგბოს ავტოდრომი 25-26 მაისს უმასპინძლებს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ დიდი კაპიტანი

ვის ჰყავს „მანო“ ჩვენისთანა...

თბილისის „დინამოს“ ლეგენდარულ კაპიტანს, ღირსების ორდენის კავალერ მანუჩარ მაჩაიძეს 70 წელი შეუსრულდა. იგი გუნდში 1968-1980 წლებში ასპარეზობდა და 431 შეხვედრაში 62- ჯერ მოახერხა მეტოქეთა კარის დალაშქვრა. არის 1978 წლის საკავშირო პირველობის გამარჯვებული. 1977 წლის გათამაშების ვერცხლის მედალოსანი და ოთხგზის ბრინჯაოს პრიზიორი 1971, 1972 და 1976 (გაზაფხული-შემოდგომა) წლებში, საკავშირო თასის ორგზის გამარჯვებული 1976 და 1979 წლებში. მანუჩარ მაჩაიძეს სსრკ-ს ნაკრებში ჩატარებული აქვს 4 შეხვედრა. ასევე 4 მატჩი გამართა ოლიმპიურ ნაკრებში, 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში კი 8-ჯერ დაასახელეს.

მის სახელს უკავშირდება აგრეთვე ერევნის „რაზდანისა“ და პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონებზე გატანილი ისტორიული გოლები, ქუთაისის „ტორპედოს“ მიერ უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი, ავიაკატასტროფაში დაღუპული ტაშკენტის „პახტაკორის“ მაისურის მორგება და მოსკოვის „სპარტაკის“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში თამაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხანგრძლივი კარიერის უტრავმოდ დასრულება და უნიკალური მიღწევა – მისი კაპიტნობისას დინამოელებს ქვეყნის ჩემპიონატის არცერთი საშინაო მატჩი არ წაუგიათ.

იუბილეს გილოცავთ, ტყავის ბურთის დიდოსტატო!

გიორგი ზოთაძე

◎ სამგო

მოსკოვური „ხუთიანი“

სამბისტთა პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირს – ხარლამპიევის მემორიალს, იგივე მსოფლიო თასის გათამაშებას, რომელშიც 33 ქვეყნის ნაკრები გამოდიოდა, რუსეთის დედაქალაქმა უმასპინძლა.

კიდევ ერთხელ გვასახელეს საქართველოს წარგზავნილებმა, რომლებიც სამშობლოში 5 მედლით დაბრუნდნენ.

მესამედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ევროპის ორგზისა და მსოფლიოს ჩემპიონი ნინო ოძელაშვილი (72 კგ), ხოლო მეორედ – ბექა ბერძენიშვილი (+100 კგ).

გუნდის ოქროსმედალოსან ლიდერთა მონაგარი „ბრინჯაოთი“ შეავსეს მსოფლიოს ჩემპიონმა ელენე ქებაძემ (+80 კგ), სალომე აბაშიძემ (60 კგ) და ბესო ბერულავამ (82 კგ).

კობა კობახიძე

სანთელი

წარსულის მიწის ქვეშ მძებნელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ ლორთქიფანიძის ხსოვნას



გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი-არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **გურამ ლორთქიფანიძე**.

გურამ ლორთქიფანიძე დაიბადა ქალაქ ბათუმში 1938 წლის 14 სექტემბერს. სწავლობდა ბათუმის №1 საშუალო სკოლაში, რომელიც გამოირჩეოდა მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით და ეროვნული ტრადიციების პატივისცემის სულისკვეთებით. ამან განაპირობა ის გარემოება, რომ თბილისის 68-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე არქეოლოგიის სპეციალობით. ის დაეუფლა არქეოლოგიისა და ზოგადად ანტიკური ნუმიზმატიკის საფუძვლებს. როგორც აღნიშნულია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში (იხ. 60 лет кафедре археологии МГУ им. М. В. Ломоносова, Москва, 1998, გვ. 262), ის 22-ე გამოშვების არქეოლოგი დიპლომანტი გახლდათ. გ.ლორთქიფანიძე მონაწილეობდა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში. გამოაქვეყნა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი სტუდენტ არქეოლოგთა საკავშირო სამეცნიერო კრებულში. მონაწილეობა მიიღო სიმფეროპოლის, დონუზლავის, აგრეთვე საქართველოში წოვის, ბიჭვინთის, ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციებში, რამაც განაპირობა მისი შემდგომი სამეცნიერო ინტერესები.

1961 წლის დეკემბერში ის დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

საინტერესო მოგონებები აქვს გ. ლორთქიფანიძის სტუდენტური წლების შესახებ აკად. გ. ჩიტაიას (იხ. „ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე“, თბ., მეცნიერება, 1991, გვ. 84). ის აღნიშნავს: 1960 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტარდებოდა ორიენტალისტთა მსოფლიო კონგრესი, სადაც განსაკუთრებული სტატუსით იყო წარმოდგენილი ქართული ეთნოგრაფიული სკოლა თავისი სტენდებით, წიგნების გამოფენით და ხალხური სიმღერების ჩანაწერებით. გამოფენის მოწყობაში ქართველი მოსკოველი სტუდენტები გვეხმარებოდნენ, „განსაკუთრებით მეხმარებოდა გ. ლორთქიფანიძე“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აკად. გ. ჩუბინაშვილის წიგნი „ქართული ჭედურობა“, რომლის კრიტიკა ქართული ჭედური ხატების პუბლიკაციების გამო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე, გაზეთ „პრავდაში“ და სხვ. მკაცრად გაისმა. კონგრესის გახსნას დაესწრნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. მათი ყურადღება ფოიეში მოწყობილმა ქართულმა ეთნოგრაფიულმა კუთხემ, წიგნების გამოფენამ და ქართულმა მრავალხმიანმა სიმღერებმა მიიპყრო. ა. მიქოიანმა დიდხანს ათვალიერა დიდი ინტერესით გ. ჩუბინაშვილის პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე გამოცემული წიგნი... „სტუდენტ გურამ ლორთქიფანიძეს უთქვამს ამ წიგნს აკრიტიკებენო“. ა. მიქოიანს უპასუხია — „კრიტიკა ჩაივლის, კარგი წიგნი დარჩებაო“. აკად. გ. ჩიტაიას დასკვნით, სტუდენტი „ძალზე კარგია და როგორ გაბედა სტუდენტმა ლორთქიფანიძემ ასეთი გაბედული ნაბიჯი იმ დროს. ეტყობა, თამამიც იყო და კარგადაც გამოუვიდა“. „მოდის თაობა უფრო თამამი, უფრო გაბედული და ღირსეული, ამინ“. ასე შეაფასა დიდმა ქართველმა მეცნიერმა აკად. გიორგი ჩიტაიამ 60-იანელთა თაობის მნიშვნელობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მან 1961 წელს გურამ ლორთქიფანიძე ჩარიცხა ხევის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში და პირველი ხელფასი მისცა.

ამგვარად, გ. ლორთქიფანიძე, რომელსაც ტოვებდნენ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის არქეოლოგიის კათედრაზე ასპირანტურაში მოსამზადებლად, საქართველოში დაბრუნდა. 1965 წელს, პროფ. ვ.დ. ბლავატსკის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „კოლხეთი ძვ.წ. II-I სს.“, რის საფუძველზე გადაყვანილ იქნა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

1970 წელს გამომცემლობა „განათლებამ“ გამოაქვეყნა მისი პირველი მონოგრაფია „ძველი კოლხეთის ისტორიისათვის“, რომლის სამეცნიერო რედაქტორი გახლდათ აკად. გ. მელიქიშვილი. წიგნი, რომელშიც გაანალიზებული იყო ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის უახლესი აღმოჩენები, მიეძღვნა პირველი ქართველი არქეოლოგი ქალის ნინო ხოშტარიას ხსოვნას. 1978 წელს „მეცნიერებამ“ გამოსცა გ. ლორთქიფანიძის სადოქტორო დისერტაცია „კოლხეთი ძვ.წ. VI-II სს.“ აკადემიის წევრ-კორ. დ. ხახუტაიშვილის რედაქტორობით, რომელზეც დადებითი რეცენზიები გამოქვეყნდა რუსეთსა და უკრაინაში.

1977 წლიდან გურამ ლორთქიფანიძე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ საქართველოს ისტორიის, შემდეგ კი არქეოლოგიის კათედრის პროფესორია. აქტიურად მონაწილეობს მთელი რიგი არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობაში (ვანი — დაფნარი, ჭალადიდი, მცხეთა). მოხსენებებით გამოდის საერთაშორისო კონფერენციებზე ინგლისში, გერმანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუსეთსა და უკრაინაში. 1974-2000 წწ. აკად. ა. აფაქიძის დავალებით გ. ლორთქიფანიძე სათავეში ედგა დიდი ტრადიციების მქონე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის — ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციას, სადაც მისი ძალისხმევით აიგო თსუ სასწავლო ბაზა. აქ ქართველ და აფხაზ სტუდენტებთან ერთად საველე პრაქტიკას გადიოდნენ გერმანიის, კერძოდ, იენის უნივერსიტეტის სტუდენტები პროფ. ანი გრეტ ლიუნგ პლონკტეს ხელმძღვანელობით. 1979 წელს მან, აკად. რ. გორდეზიანის სამეცნიერო რედაქტორობით, გამოსცა მონოგრაფია „ბიჭვინთის ნაქალაქარი“, რომელშიც ახლებურად იქნა გაშუქებული ამ უძველესი ნაქალაქარისა და დასავლეთ საქართველოს დიდი საეკლესიო ცენტრის, რომაული კასტელუმისა და მისი კანაბეს სამოქალაქო დასახლების ისტორია. 1985-2005 წწ. პროფ. გ. ლორთქიფანიძე იყო თსუ უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და გადამზადების ფაკულტეტის დეკანი, მისი ინიციატივით თსუ ისტორიის ფაკულტეტზე დაფუძნდა „კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა“. „ამით, როგორც ამას აღნიშნავს აკად. რ. გორდეზიანი, მან საფუძველი ჩაუყარა ისტორიული კულტუროლოგიის კვლევას“ (იხ. კრ. კულტურულ-საისტორიო ძიებანი, თსუ გამომცემლობა, 2010, გვ. 15). თავის ახალგაზრდა თანამშრომლებთან და მოწაფეებთან ერთად შექმნა ორიგინალური საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები „ქართული კულტურის ისტორიასა“ (რედაქტორი აკად. ვ. ბერიძე) და „კულტუროლოგიაში“ (რედაქტორი პროფ. ლ. გორდეზიანი), რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და სპეციალისტების რამდენიმე თაობა აღზარდა. 1985 წელს აღნიშნულმა სახელმძღვანელომ საუნივერსიტეტო პრემია მოიპოვა. თსუ გამომცემლობამ დაბეჭდა გ. ლორთქიფანიძის დამხმარე სახელმძღვანელო გ. გერაძესთან თანაავტორობით „კულტუროლოგია ყმაწვილთათვის“, სამი ნაწილი. თბ., 2011, 2014, 2017 (ძველი აღმოსავლეთი, საბერძნეთი, რომი), რომლებიც პოპულარობით სარგებლობენ სტუდენტ ახალგაზრდობაში.

გ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა 12 მონოგრაფია და 250 სამეცნიერო წერილი საქართველოში თუ საზღვარგარეთ. იგი ავტორია ნარკვევისა „ქართული ანტიკური ხანის ისტორიოგრაფია“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „მაცნეს“ სამ ნომერში დაიბეჭდა 2014-2015 წწ. გ. ლორთქიფანიძე იყო აღნიშნული სამეცნიერო პერიოდიკის (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების სერიის) სარედაქციო კოლეგიის, საქართველოში გამომავალი არქეოლოგიური ჟურნალების და პოლონური ქართველოლოგიური ჟურნალის „პრო-გეორგიას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ოდესის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი და იუდაიკის მასწავლებელთა მოსკოვის საერთაშორისო საზოგადოების „სეფერის“ აკადემიური საბჭოს წევრი.

1987-1988 წწ. გ. ლორთქიფანიძე ხანგრძლივი ვადით ვულბრატიტის ფონდით იმყოფებოდა ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, 1990 წელს მაის-ივნისში სლოვაკიაში, კარდელის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

გ. ლორთქიფანიძე მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორად და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელად, კითხულობდა ლექციების კურსს ანტიკურ და ბიბლიურ არქეოლოგიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ქართული კულტურის ისტორიის საკითხებს — ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტში. მისი აღზრდილია მთელი პლეადა ახალგაზრდა მეცნიერებისა (პროფ. ზ. კვიციანი, პროფ. მ. მშვილდაძე, პროფ. დ. ლომიტაშვილი, პროფ. ე. ავალიანი, დოქტ. ი. ოფირი (ისრაელი), დოქტ. მ. დათუკიშვილი და სხვები), რომლებიც წარმატებით იღვწიან ქართული არქეოლოგიის სასიკეთოდ.

ბატონ ბადრი პატარკაციშვილთან და სხვა საზოგადო პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად გ. ლორთქიფანიძე ითვლება თბილისის ებრაელთა სათემო სახლის ერთ-ერთ დამფუძნებლად. აქტიურად მონაწილეობდა ებრაული დიასპორის ცხოვრების ამსახველი უცნობი საარქივო მასალების გამოვლენასა და გამოქვეყნებაში.

გ. ლორთქიფანიძე დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, ივ. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილისა და მ. ლერმონტოვის მედლებით; მინიჭებული ჰქონდა ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქისა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

ნიჭიერი და ღვაწლმოსილი მეცნიერის გურამ ლორთქიფანიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, გამოჩენილი მეცნიერ-არქეოლოგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ბატონ

გურამ ლორთქიფანიძის

გარდაცვალების გამო , უსამძიმრებს და თანადგომას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეალიზების ახალი რეგულაციები

1 აპრილიდან პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეალიზატორებს ევალებათ, პესტიციდი და აგროქიმიკატი, როგორც მომეტებული საფრთხის შემცველი პროდუქტი, განთავსონ მხოლოდ სპეციალიზებულ სავაჭრო ქსელებში. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ბიზნესოპერატორები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია მცენარეთა დაცვის საშუალებების შენახვა-რეალიზაციასთან, 1 აპრილიდან აღიარებას დაექვემდებარებიან. ბიზნესოპერატორებმა უნდა მიმართონ სურსათის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც გაუწევს ზედამხედველობას და შედეგების გათვალისწინებით, მიანიჭებს აღიარებას. აღიარების გარეშე დარჩება ბიზნესოპერატორი, რომელიც პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეალიზაციას აწარმოებს არასპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტში ან საბითუმო სარეალიზაციო ობიექტი მდებარეობს დასახლებულ ადგილას, ცხოველთა და ფრინველთა სადგომის ან კვებისა და წყალმომარაგების ობიექტების სიახლოვეს.

აღნიშნული ცვლილებით თავიდან ავიცილებთ ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებისა და გარემოს დაბინძურების რისკს.

სანთელი

ჭირსა და ლხინში გვერდით მდგომი



მხედარ ჩაჩავას ხსოვნას

ძალიან ძნელია წარსულში ილაპარაკო ადამიანზე, რომელთანაც ახლო მეგობრული ურთიერთობა გქონდა და რომელმაც მოულოდნელად მარადიულობაში გადაინაცვლა, თუმცა თავისი განვლილი ცხოვრებით წარუშლელი კვალი დატოვა ყველას მეხსიერებაში.

ჭეშმარიტი ქართველი, ინტელექტუალური, კეთილშობილი, ჩინებული ხელმძღვანელი მუშაკი, ღირსეული ოჯახის ღირსეული წინამძღოლი — ასეთ კაცად იცნობდა ყველა მხედარ ჩაჩავას.

მხედარი გიორგის ძე ჩაჩავა დაიბადა აბაშის რაიონის სოფელ ტყვირში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1972 წელს. უმაღლესი განათლება მიიღო აგრეთვე ბაქოში.

1962-67 წ.წ. არჩეული იყო აბაშისა და გეგეჭკორის (ახლანდელი მარტვილის მუნიციპალიტეტი) რაიონებში კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად. 1972-77 წ.წ. მუშაობდა აბაშის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ.

1977-88 წ.წ. მოღვაწეობდა ცხაკაიაში (ამჟამად სენაკის მუნიციპალიტეტი) პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, 1988-90 წლებში არჩეული იყო რაისაბჭოს აღმასკომის მდივნად. 1988-93 წლებში მუშაობდა სამშენებლო ფირმის დირექტორის მოადგილედ.

1993-95 წლებში იყო საგანგებო სიტუაციების დროებითი კომიტეტის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი. 1996-97 წლებში — სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. 1997 წელს დაინიშნა აბაშის რაიონის გამგებლად.

ყველა დარგში, სადაც კი მოღვაწეობდა, იგი გამოირჩეოდა საქმის ცოდნით, პასუხისმგებლობის გრძნობით, თავმდაბლობით, გულისხმიერებით, ხალხისადმი სითბოთი და უსაზღვრო სიყვარულით.

განსაკუთრებით უჭრიდა კალამი. შესანატრად წერდა, მისი ყოველი ნაწერი თუ საუბარი იყო ღრმა განსწავლულობის, ნიჭიერებისა და გონებამახვილობის გამომხატველი.

ტრადიციების მიმდევარი, პურმარილის მოყვარული კაცი იყო, სტუმართმოყვარე, ენაწყლიანი, იუმორით სავსე, ჭირსა და ლხინში გვერდით მდგომი. ამ სახელით იარა ქვეყანაზე, ასე ატარა კაცურკაცობის სახელი მთელი ცხოვრების მანძილზე. ასეთად დაამახსოვრა თავი მეგობრებს, ახლობლებს, ყველას, ვინც კი მას იცნობდა.

მისმა წასვლამ ყველას დასწყვიტა გული.

მშვიდობით, ძმაო და მეგობარო.

ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული მარადიულ სასუფეველში.

აბაშელი, სენაკელი და ზუგდიდელი მეგობრები

სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ საზოგადოების ყოფილი თანამშრომლის, გულითადი მეგობრის, უაღრესად ნიჭიერი, ერუდირებული პიროვნების, გამოცდილი პარტიული და სახელმწიფო მუშაკის

მხედარ ჩაჩავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

დემურ გადელია, ტარიელ დგებუაძე, ჯამბულ წულაია, ავთანდილ ბესელია, გოჩა დგებუაძე, ტიტიკო კაკულია, გია მიქაია, არმანი და ალანი თოდუები, ანზორ ცაგურია, გურამ ადანაია, დამირი კუჭავა, რეზო ჯანჯღავა, რომან კიზირია, იზარდი წოწონავა, დალი შაფათავა, გრიალა რობაქიძე, ავთანდილ კაკალაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი და კოლეგა, ღვაწლმოსილი და ღირსეული პიროვნება

მხედარ ჩაჩავა

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

კახა კალაძე: სამშენებლო სამუშაოები კანონიერია... დედაქალაქის წინსვლა არ სურთ!



თბილისის მერის განცხადებით, ტვერელის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ სამშენებლო სამუშაოებზე ნებართვა კანონის სრული დაცვით არის გაცემული. მისივე თქმით, მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლა მოდად იქცა, რაც, მისი თქმით, კატეგორიულად მიუღებელია.

„ეს არის უპრობლემო პროექტი. კანონის სრული დაცვით არის ნებართვა გაცემული. იმ კონკრეტულ ადგილზე იყო ბარაკები და იქ მცხოვრები ადამიანები ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. დღეს შენდება ორ თუ სამსართულიანი თანამედროვე სახლი, რომელიც ყველანაირად ჯდება იმ საერთო გარემოში, რაც კონკრეტულ ადგილს აქვს. ეკლესიას პრობლემა არ ექმნება. პირიქით, იქ მიმდინარეობს ღობის გამაგრებითი სამუშაოები. ეს ყველაფერი ხდება მიზანმიმართულად და დაგეგმილად. ის განვითარება, ის წინსვლა, რაც დღეს დედაქალაქში ხდება, გარკვეული ადამიანების ჯგუფს არ სურს. იციან, რომ ეს ყველაფერი დაკავშირებულია ეკონომიკურ განვითარებასთან, დაკავშირებულია იმასთან, რომ მშენებლობებზე ადამიანები საქმდებიან და ხელფასს იღებენ“, — ამბობს კახა კალაძე.

აია სოფიას მეჩეთად შესაძლო გადაკეთებამ საბერძნეთი აღაშფოთა

საბერძნეთში დიდი გამოხმაურება მოჰყვა თურქეთის პრეზიდენტის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის გამორიცხული, აია სოფიას ტაძარს მუზეუმის სტატუსი მოეხსნას და მეჩეთად გადაკეთდეს. აღნიშნულმა განცხადებამ ბერძნები აღაშფოთა, რადგან აია სოფია მთელი 9 საუკუნის განმავლობაში საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ცენტრალურ ტაძრად ითვლებოდა.

„ეს არა მხოლოდ ქრისტიანული სამყაროს დიდი ტაძარია, არამედ კაცობრიობის საკუთრებაც, ის იუნესკოს მიერ ცნობილია, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა. ამგვარად, ნებისმიერი კითხვა მის სტატუსთან დაკავშირებით, არის არა მარტო ქრისტიანების გრძნობების შეურაცხყოფა, არამედ საერთაშორისო საზოგადოების და საერთაშორისო სამართლის შეურაცხყოფაც“, — განაცხადა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯორჯ კარტუგალოსმა.

როგორც ექსპერტები აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით აცხადებენ, თუ ერდოღანი თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებს, ეს შეასუსტებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პოზიციებს და მის პრეტენზიებს პოსტსაბჭოთა სივრცეში. რაც თავის მხრივ წინ წამოწევს და გააძლიერებს რუსეთის ეკლესიის პოზიციას. მათი მოსაზრებით ერდოღანის განცხადებას მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს, მათ შორის რუსეთისთვისაც. მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსმა, რომლის რეზიდენციაც სტამბოლშია, რუსეთის ეკლესიის სურვილის საწინააღმდეგოდ ავტოკეფალია მიანიჭა უკრაინის ეკლესიას, ერდოღანი და რუსეთის პრეზიდენტი პუტინი კი სტრატეგიული და ეკონომიკური ურთიერთობის დალაგების პროცესში არიან.

აია სოფია წარმოადგენს ბიზანტიური „ოქროს საუკუნის“ სიმბოლოს. ტაძარი შენდებოდა 324-337 წლებში. კონსტანტინოპოლის დაცემამდე ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი მართლმადიდებლური ტაძარი.1453 წლის 29-30 მაისს ოსმალეთის სულთნის მეჰმედ II-ის ბრძანებით გადაკეთებულ იქნა მუსლიმურ სალოცავად. ამის შემდეგ მას მიაშენეს ოთხი მინარეთი.

1935 წელს მუსტაფა ქემალ ათათურქის ბრძანების საფუძველზე მას სტატუსი შეუცვალეს და ის მუზეუმი გახდა. აია-სოფია დღემდე მუზეუმის ფუნქციას ასრულებს. 1985 წელს იუნესკომ სხვა ამ რაიონში განლაგებულ ისტორიული ღირებულების მქონე კომპლექსებთან ერთად „მსოფლიო მემკვიდრეობის“ ნუსხაში შეიტანა. 2006 წელს აია სოფიას მეჩეთში განახლდა მუსლიმური რელიგიური რიტუალების აღსრულება.

ფოთის სანაპირო ზოლში გადაშენების პირას მყოფი გიგანტური კუ შემოცურდა

უწყების ცნობით, მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის სპეციალისტების განცხადებით, კუ დაუყოვნებლივ საჭიროებდა რეაბილიტაციას.

„აღნიშნული სახეობისთვის საჭირო პირობები არ არსებობს არც ბათუმის დელფინარიუმში და არც აკვარიუმში.

გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა დახმარებისთვის სასტუმრო „პარაგრაფის“ აკვარიუმს მიმართეს. გიგანტური კუ სარეაბილიტაციო კურსს აღნიშნული სასტუმროს საკარანტინო აუზში გაივლის, სარეაბილიტაციო კურსის გავლის შემდეგ კი გარემოში აპირებენ დაბრუნებას“, — აცხადებენ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
ჩიქობავას ქ. №42. 599 79-76-79; 568 82-09-84

ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები აუქციონზე

ინდოელი მილიარდერისა და ძვირფასი ქვების იუვილერის ნარივ მოდის კუთვნილებაში მყოფი 68 ხელოვნების უძვირფასესი ნიმუში აუქციონზე გამოიტანეს. მოდის ინდოეთის ეროვნული ბანკიდან, თაღლითური გზით 2 მილიარდი დოლარის მოპარვაში ედავებიან. მისი კოლექცია მოიცავს ცნობილი ინდოელი მხატვრების რაჯა რავი ვარმასა და ვასუდო გაიტონდეს ნამუშევრებს.

დღევანდელი საბაზრო ღირებულებით, მილიარდერს კოლექციაში მყოფ გაიტონდეს ნახატს ინდოეთის ისტორიაში რეკორდულ ფასად გაყიდვას ვარაუდობენ. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს გაიტონდეს ერთ-ერთი ტილო ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ძვირად, 4,4 მილიონ დოლარად გაიყიდა. აუქციონერები ფიქრობენ, რომ ვარნას ნახატი 2,5 მილიონ დოლარზე ნაკლებად არ გაიყიდება. **შეგახსენებთ, რომ ალმასებით მოვაჭრე ინდოელი მილიარდერი 2 მილიარდის მოპარვისთვის ლონდონში დააკავეს. ნარივ მოდის თაღლითობასა და 2 მილიარდი დოლარის გათეთრებაში ბრალი ედება. ლონდონის პოლიციის განმარტებით, ბრალდებული ინდოელი სპეცსამსახურების მოთხოვნით დააკავეს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი ექსტრადირების პროცედურები. ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებს.**

ტელესერიალ THE GRAND TOUR-ის ახალი ეპიზოდი საქართველოს ეძღვნება

22 მარტს გამოვიდა მსოფლიოში პოპულარული ბრიტანული საავტომობილო ტელესერიალის The Grand Tour-ის მორიგი ეპიზოდი, რომელიც საქართველოს და აზერბაიჯანს ეხება.

სერიალის მე-3 სეზონის მე-11 ეპიზოდში გადაცემის გმირები, ჯერემი კლარკსონი, ჯეიმს მეი და რიჩარდ ჰამონდი სამხრეთ კავკასიაში ჩადიან, რათა დაადგინონ, რომელია საუკეთესო მანქანა საიმისოდ, რომ საქართველოში მცხოვრები ადამიანი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ჩავიდეს მტკნარი წყლის თევზის საჭმელად. სამი გმირი უმაღლესი კლასის სამი სხვადასხვა ავტომანქანით გადის ათასამდე კილომეტრს ბათუმიდან ბაქომდე. გზაში მათ მრავალი თავგადასავალი გადახდებათ, ისინი ნახულობენ ლამაზ ქალაქებსა და სოფლებს, ისტორიულ ადგილებს.

ერთ-ერთ მონაკვეთში ტელესერიალის გმირები მიდიან სოფელ ხურვალეთში, ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის საზღვარზე და მავთულხლართების გადაღმა ესაუბრებიან ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩენილ ადგილობრივ მოსახლეს. სერიალის მე-11 ეპიზოდის გადასაღებად ბრიტანული გადამღები ჯგუფი გასული წლის შემოდგომაზე ესტუმრა საქართველოს.

The Grand Tour არის დოკუმენტური ტელესერიალი, რომელიც წინასწარ გადაღებულ ელემენტებსაც შეიცავს. მისი ყურადღების ცენტრში დგას ავტომანქანა და ავტორბოლა. The Grand Tour-ის მე-3 სეზონი 18 იანვარს დაიწყო და ეპიზოდები კვირაში ერთხელ გამოდის. მას ავრცელებს საინტერნეტო სერვისი Amazon Prime Video. კლარკსონი, მეი და ჰამონდი ადრე მონაწილეობდნენ BBC-ის მსგავსი ტიპის პოპულარულ ტელესერიალში Top Gear.

კედელი მექსიკის საზღვარზე

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა პატრიკ შანაჰანმა მექსიკის საზღვარზე კედლის ასაშენებლად მილიარდი დოლარი გამოყო. ამის შესახებ უწყების ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი.

თანხა, 91 კმ სიგრძის მონაკვეთზე კედლის აგებაზე, გზების მოწესრიგებასა და ქალაქების იუმასა და ელ-პასოს განათებაზე დაიხარჯება. მედია აღნიშნავს, რომ ეს პირველი მილიარდი დოლარია, რომელიც დონალდ ტრამპს კედლის აშენებისთვის გამოეყო.

მექსიკის საზღვარზე კედლის აშენება ტრამპის ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ვარაუდობენ, რომ კედელი არალეგალურ იმიგრაციასა და ნარკოტიკების კონტრაბანდას შეაჩერებს.

თავიდან რესპუბლიკელებმა ამ პროექტზე 6 მლრდ დოლარის გამოყოფის შესახებ დოკუმენტი წარადგინეს, თუმცა ის სენატში ვერ გავიდა. წარმომადგენელთა პალატაში ასევე განაცხადეს, რომ მშენებლობის დაფინანსებას არ აპირებდნენ.

ამ წინააღმდეგობამ 2018 წლს ბოლოს სახელმწიფო დაწესებულებისთვის თანხის გამოყოფის ნაწილობრივი შეწყვეტა - შათდაუნი გამოიწვია. თებერვალში ტრამპმა საზღვარზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამგვარად, მას შეუძლია 6 მლრდ დოლარზე მეტი მიიღოს და კონსტიტუციით აუცილებელი კონგრესის დამტკიცება თავიდან აირიდოს. აშშ-ის სენატმა საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას დაუჭირა მხარი, თუმცა პრეზიდენტმა სენატის გადაწყვეტილებას ვეტო დაადო.

იცით თუ არა, რომ...

- **...დედამიწის ატმოსფეროში ყოველწლიურად სამი მილიარდი CO2 ხვდება.**
- **...დაბადების პირველ თვეს დელფინ-აფალინას საერთოდ არ სძინავს.**
- **...სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი — 84 წელი — ჰონკონგში, იაპონიასა და მაკაოშია.**
- **...სპილოს ფეხის გულების წინა მხარეს ჩლიქებია.**
- **...ორჯერ ანადულარი წყალი მავნე არ არის.**
- **...ყავის არომატის მდგენელია დაახლოებით ათასი ნივთიერება.**
- **...ჰაერის დიდი ტენიანობის დროს სიცხე უფრო მძიმე ასატანია ოფლის სუსტი აორთქლების გამო.**
- **...წყლის განუწყვეტელი ხახუნის გამო დელფინმა დღე-ღამეში კანი შეიძლება 12-ჯერ გამოიცვალოს.**
- **...პოპულარული საფეხბურთო კლუბი „ჩელსი“ ოლიგარქმა რომან აბრამოვიჩმა 2003 წელს 140 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა, განვლილ 16 წელიწადში მას კიდევ 4 მილიარდი დაახარჯა, მათ შორის 2,4 მილიარდი გირვანქა სტერლინგი... ხელფასებად გასცა.**

დახმარების მსურველთა საყურადღებოდ!

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა . 42/5

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6822; ევრო - 3.0349;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5335
100 რუბლი - 4.1725; თურქული ლირა - 0.4743;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5777;
1000 სომხური დრამი - 5.5155.

ამინდი 27 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -3,	დღე +19
მთიანი რაიონები -	ღამე -6,	დღე +14
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1,	დღე +18
მთიანი რაიონები -	ღამე -1,	დღე +15
თბილისი:	ღამე +1,	დღე +18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge